სპორტული ჟურნალი

№6 აგვისტო, 2000 ფასი 2 ლარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბურთალო

3 სოლომონ გულისაშვილი
დაუმარცხებელნი
საფრანგეთი: ბრწყინვალე გამარჯვებებიდან ბრწყინვალედ არ დამარცხებამდე

5 ილია გაგუნაშვილი
მოიშორეთ ცრურწმენები
მოკლე ამბავი ჯოჯოებსა და მაჯლაჯუნებზე

6 პაპუნა კედია
ღია წერილი პიერლუიჯი კოლინას
ბედი მსაჯისა

8 სოსო კოტორეიშვილი
რას მოუყვება ალფონსო შვილიშვილებს
დაელოდეთ მსაჯის სასტვენს

9 სოლომონ გულისაშვილი
სოფოკლეს ლანდი
ისტორიული დრამა თერთმეტი მეტრიდან

12 ირაკლი გამყრელიძე
პარალელები
და თქვენ გგონიათ, რომ ზიდანი გაიბლანდა...

16 **სხვადასხვა**

18 ავთანდილ სვანიძე
უიმბლდონიდან სიყვარულით
სარბიელის კორესპონდენტის მწვანე იაღლიშები ლონდონში

22 ავთანდილ სვანიძე
ჰოკეი, ჩოგანი და სიყვარული
განმარტოებული ნორმანი და ჰინგისი ჩოგბურთზე გაცილებით საინტერესო საქმეს მისდევენ

14-15 გვერდი
1998 წლის მსოფლიოს და 2000 წლის ევროპის ჩემპიონი ზინედინ ზიდანი (საფრანგეთი)

გარეკანზე

I ლუიშ ფიგუ. 2000 წლის 24 ივლისი. პირველი დღე მადრიდის „რეალში“

II 2000 წლის 8 ივლისი. ევრო 2000-ის საუკეთესო თანაბომბარდირის პატრიკ კლუივერტის და მისი მეუღლის ანჟელას საქორწილო ამბორი

III 2000 წლის 15 ივლისი. ლონდონი. ბრიტანელი ლენოქს ლუისი სამხრეთაფრიკელ ფრანსუა ბოთას ანოკაუტებს

IV არგენტინის ნაკრები ვენესუელასთან მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის წინ



რედაქტორი ილია გაგუნაშვილი
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
ოპერატორი მაგდა დოგრაშვილი

მრჩეველთა საბჭო: ვახტანგ ბზიკაძე, სოლომონ გულისაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი, ემზარ ზენაიშვილი, ზურაბ მეძველია, ზურაბ ფოცხვერია

რეკლამა ჟურნალ «სარბიელში» — 93 16 08

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუმარცხებელნი

სოლომონ გულისაშვილი

ოცდახუთი წელიწადია ფეხბურთს ვუცქერ და დიდ სანაკრებო ტურნირებზე სულ ოთხჯერ ვნახე გუნდი, რომელიც სხვებს ორი თავით სჯობდა. ასეთი იყო ბრაზილია 1982 წელს, საფრანგეთი 1984-ში, ჰოლანდია 1988-ში და ისევ საფრანგეთი ევრო 2000-ზე.

ბელგია — ჰოლანდიაში „ლურჯებმა“ ყველაზე უკეთ აჩვენეს ის, რაც თანამედროვე ფეხბურთის რაობას გამოხატავს: ჩინებულად აწყობილი გუნდური თამაში, ტაქტიკური მრავალფეროვნება, სისწრაფე და მიზანმიმართულობა. ეს იყო გონიერი, არტისტიზმით აღსავსე ფეხბურთელების ერთობ პრაქტიკული გუნდი.

ფრანგებმა ახალ ხარისხში აიყვანეს ტოტალური ფეხბურთი. როჟე ლემერის ბიჭები 2000 წელს თითქმის იდეალურად ასრულებდნენ იმას, რასაც 70-იანის დასაწყისში რინუს მიხელსი ნერგავდა. ვუცქერდი ფრანგების თამაშს და მიკვირდა, თურმე რამდენით გაუსწრიათ მაშინ ჰოლანდიელებს დროისთვის...

პირველი მატჩის შემდეგვე, რომელიც ფრანგებმა დანიას მოუგეს, ნათელი გახდა „ლურჯები“ ტურნირზე ყველას სჯობდნენ. ისინი უფრო ძლიერები იყვნენ, ვიდრე ორი წლის წინ, როცა შინ მსოფლიოს თასი მოიგეს. ამიტომ, თუ მოულოდნელი რამ არ შეემთხვეოდათ, ანრი დელნოეს ვერცხლის ამფორაც მათი საკუთრება უნდა გამხდარიყო. გახდა კიდეც.

მაინც რაშია ფრანგების ასეთი წარმატების მიზეზი? აი, რას ამბობს მიშელ პლატინი: „არსებობენ ნაკრებები, მაგალითად ბრაზილია, ესპანეთი, იუგოსლავია, რომლებმაც გასამარჯვებლად ყველაფერი კარგი უნდა აჩვენონ, რაც გააჩნიათ, მაგრამ როგორც კი სიძნელეებს გადააწყდებიან, საუკეთესო თვისებებს ვეღარ ავლენენ, თმობენ და აგებენ. 80-იანი წლების საფრანგეთის ნაკრებსაც, რომელსაც ბევრი ისტორიაში საუკეთესოდ მიიჩნევს, მრავალი ლეგენდარული თამაში მოუგია, მაგრამ არწაგებას მაინც ვერ შეეჩვია.

ახლა ფრანგი ფეხბურთელების უმრავლესობა ევროპის უძლიერეს ჩემპიონატებში თამაშობს. მათ უცხოელთა საუკეთესო თვისებები გადაიღეს. ფრანგებმა ისწავლეს არა მხოლოდ მოგება, არამედ, რაც უფრო მნიშვნელოვანია — არწაგება“...

ძნელია უფრო ზუსტი ფორმულირება მოუძებნო ფრანგთა აღზევებას. თუმცა, პლატინი ხომ იმიტომაცაა პლატინი რომ ფესვებშივე გრძნობდეს ყველაფერს. მოკლედ, დღეს ფრანგებს ნამდვილი დაუმარცხებლის მენტალიტეტი აქვთ.

როჟე ლემერი – ფრანგთა მთავარსარდალმა ემე ჟაკეს მემკვიდრეობა შეიმნო

REUTERS

როგორ მივიდნენ აქამდე, შემთხვევით თუ მიზანმიმართულად? ვფიქრობ, ყველაფერი ჭკვიანურად არჩეული სტრატეგიული გეგმის ნაყოფი უნდა იყოს. ევრო 92-ზე ჩავარდნისა და აშშ-ის მსოფლიო ჩემპიონატის მიღმა დარჩენის შემდეგ ფრანგებმა ახალი გუნდის შენება დაიწყეს. მაშინ თბილისშიც ბევრს უკვირდა, რატომ არ იძახებდნენ ნაკრებში კანტონას, ჟინოლას და პაპენს, ისინი ხომ ვარსკვლავები იყვნენ, მაგრამ ემე ჟაკეს, ფრანგთა მაშინდელ მწვრთნელს თავისი ხედვა ჰქონდა და ფეხბურთელებსაც ამის მიხედვით არჩევდა. არჩევდა და აარჩია კიდეც, მისი ხელმძღვანელობით „ლურჯები“ მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ. არანაკლებ მნიშვნელოვანია მეორე ასპექტიც — როცა ჟაკე წავიდა, ფრანგებს სახელოვანი მწვრთნელის ძებნა არ დაუწყიათ და ნაკრები ჟაკეს თანაშემწეს, ლემერს ჩააბარეს. ლემერს თითქმის არ შეუცვლია თავისი წინამორბედის აშენებული, არამედ უფრო გაამყარა და ახალი იდეებით გაამდიდრა. ასეთი სისტემით მუშაობდნენ ადრე გერმანელებიც. ახლა კი, რაც მწვრთნელების ხშირი ცვლა დაიწყეს, რა დღეშიც არიან, ევრო 2000-ზეც ვნახეთ.

და კიდევ ერთი. ლემერმა აწყობილ დაცვასა და ნახევარდაცვას უძლიერესი თავდასხმის ხაზიც დაუმატა. ორი წლის წინ, როცა „ლურჯები“ მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ, ყველაზე სუსტები სწორედ შეტევაში იყვნენ. ახლა კი ლემერმა რაღაც ბლოკების მაგვარი შექმნა. ანრი, ანელკა და დიუგარი ნებისმიერი დაცვისთვის სახიფათონი არიან, თუ არა მათ მაგიერ ვილტორდი, ტრეზეგე და პირესი გავლენ მინდორზე.

ასეთმა სწრაფმა თავდასხმამ ფრანგების ტაქტკაც უფრო მოქნილი გახადა. თუ ჟაკე დაცვის სიძლიერეზე აწყობდა თამაშს, ახლა ნახევარდაცვისა და შეტევის ეფექტურობამ იჩინა თავი. შედეგად ოდნავ შეიცვალა ზიდანის ფუნქციაც, მან შეტევების ორგანიზებისთვის მეტად მოიცალა.

დავუბრუნდეთ ისევ ლემერის ბლოკურ სისტემას. ფრანგებს, ფაქტობრივად, ორი თანაბარძალოვანი შემადგენლობა ჰყავდათ და სწორედ ეს იყო მათი ჰოლანდიელებთან უპირატესობა. „ნარინჯისფერებმა“ მართლაც დიდებული გუნდი ათამაშეს, მაგრამ თითქმის ყველა შეხვედრა ერთი და იმავე შემადგენლობით ჩაატარეს, შესაძლოა ამიტომაც აღარ ეყოთ ძალა იტალიელთა დასამარცხებლად.



ფრანგული ყოცნა: ლორან ბლანისა და ფაბიენ ბარტეზის ამ რიტუალს ფრანგთათვის ყოველთვის გამარჯვება მოაქვს

„საფრანგეთის ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ყველაზე სოლიდური გუნდია. ფეხბურთელების გათვლილი და დახვეწილი განლაგება, ჩინებული ურთიერთგაგება ხაზებს შორის, თითქმის ავტომატიზმამდე მისული პასის კულტურა — ეს ყველაფერი გვათქმევინებს, რომ საფრანგეთი მსოფლიოს საუკეთესო გუნდია“ — ლეგენდარული ბელგიელი მწვრთნელის რაიმონდ გუტალსის ეს სიტყვები კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, თუ რამხელა სიმაღლეს მიაღწია ბოლო წლებში ფრანგულმა ფეხბურთმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა
REUTERS

ეროვნული ბიბლიოთეკა

*1. საფრანგეთი — დანია; 2. საფრანგეთი — ჩეხეთი; 3. საფრანგეთი — ჰოლანდია; 4. საფრანგეთი — ესპანეთი; 5. საფრანგეთი — პორტუგალია; 6. საფრანგეთი — იტალია (**REUTERS**-ის ფოტოები)*

მოიშორეთ ცრურწმენები

ილია ბაბუნაშვილი

ევრო 2000-ის ნახევარფინალის წინა დღეს ბრიუსელიდან „სარბიელის“ რედაქციაში დავრეკე, რათა ჯოჯოებითა და მაჯლაჯუნებით გაჯერებული პირწმინდა ქართული აზრი შემეთავაზებინა: — საფრანგეთის ნაკრებმა ჯგუფური ეტაპის სამივე შეხვედრა სხვადასხვა ფორმით ითამაშა. მეოთხე ვარიანტი არ არსებობს. ესე იგი, ხვალ პორტუგალიასთან რომელიმე უნდა გაიმეოროს. ჰოდა, თუ წააგო, ჟურნალში ოთხივე მატჩის ფოტო დავბეჭდოთ და მივაწეროთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონებს ფორმის ცვლა ჰქონდათ კარგად დაცდილი და როგორც კი ამოენურათ...

თურმე ნუ იტყვით და როცა ძლიერი ხარ, არც რაიმეს კარგად დაცდას აქვს აზრი და ფორმის მეხუთე ვარიანტიც არსებობს.

ლია ბერილი

პიერლუიჯი კოლინას



REUTERS

პაპუნა კედია

— წამო, მსაჯები გავხდეთ. კურსები მეგულება.

— წამო, რა. რატომაც არა.

ეს იყო და ეს. ხომ უბრალო საქმეა, მოდის მეგობარი და გეუბნებათ აზრს, რომელმაც უცბათ დაჰკრა თავში. რატომ, ღმერთმა უწყის. თქვენც ძალიან იოლად თანხმდებით და წლების მერე ბარსელონაში „კამპ ნოუს“ მინდორზე დგახართ. თქვენგან ერთ მხარეს „მანჩესტერ იუნაიტედია“, მეორე მხარეს „ბაიერნი“. შეხვედრას ჩემპიონთა ლიგის ფინალი ჰქვია. თავიდან „ბაიერნი“ იგებს, მაგრამ თამაშის დამთავრებამდე წამებით ადრე „მანჩესტერ იუნაიტედი“ ორი გოლის გატანას ახერხებს და თასს იგებს. ისეთი მატჩი გამოდგა ისტორიიდან არასდროს რომ ამოიშლება, თქვენ კი მისი მსაჯი ბრძანდებოდით. სჯიდით და უბრალოდ შეცდომა არ დაგიშვიათ, მეტი არაფერი.

არადა გახსოვთ 1977 წელს სულ პირველი თამაში, რომლის გაძღოლამაც მოგიწიათ? გახსოვთ, რამდენიმეჯერ როგორ მოგეშალათ ნერვები, როდესაც მიხვდით, რომ წესის დარღვევათა შემჩნევა გიჭირთ? ჩასტვენაც ძალიან ძნელ საქმედ მოგეჩვენათ. არადა ჭაბუკების შეხვედრა იყო.

ანდა ის თუ გახსოვთ, 1996 წელს, ატლანტის ოლიმპიადაზე ჩინელი და ამერიკელი ქალების შეხვედრა რომ დაამთავრეთ და მთელი ჩინეთის ნაკრები თქვენთან სამახსოვრო ფოტოს გადასაღებად რიგში რომ ჩადგა. 50 ათასი მაყურებლის თვალწინ.

ისე, იმ ოლიმპიადაზე ვაჟთა ფინალიც განდეს. ნიგერიამ არგენტინას 3:2 მოუგო და თქვენ, თუ არ ვცდები, ერთი სერიოზული შეცდომა დაუშვით, მაგრამ ახლა ამაზე აღარ გამოგეკიდებით. რაც იყო იყო. ბოლოს და ბოლოს ნიგერია უღირსი ჩემპიონი სულაც არ ყოფილა.

სხვათაშორის თქვენი თვისებებიდან ბევრს ვცემ პატივს. მაგალითად, რა ხანია გაკვირ-



სიტყვის ძალა: პიერლუიჯი პოლინამ ჩეხ რეპეპას დაუცაცხანა

REUTERS

1999 წლის 26 მაისი. ჩემპიონთა ლიგის ფინალი. ბაიერნი – მანჩესტერი 1:2

დებით, რომ ფეხბურთელებს ყვითელ ბარათს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში აჩვენებთ. ეს ძალიან ვაჟკაცური პრინციპია. იცით, რომ მათ წინ კიდევ ბევრი თამაში ელით და არ გინდათ გაფრთხილებები დაუგროვდეთ, თორემ მერე შეიძლება ნახევარფინალის, ფინალის ან უბრალოდ უმნიშვნელოვანესი მატჩის გამოტოვება მოუხდეთ. თქვენი კოლეგების დიდი ნაწილი, მერწმუნეთ, თავიდანვე იწყებს მოთამაშეთა დასჯას რათა მოედანზე ყველაფერი წესრიგში ჰქონდეს, თქვენ კი ამას უბრალო ჩასტვენითაც ახერხებთ. მართალიც ბრძანდებით, მაყურებელს ხომ ვარსკვლავების ნახვა დიდ შეხვედრებში უფრო უნდა. საერთოდ, თუ მსაჯს თამაშის არ ეშინია, თანაც საკუთარ ოსტატობას ენდობა, სულაც არაა საჭირო წარამარა ხელის ჯიბეში ჩაყოფა. თქვენ ოსტატობა ნამდვილად არ დაგეწუნებათ და არც ცხრა პირ ოფლში გახვითქულ, ბურთით გართულ, აღელვებულ მოთამაშეებთან ურთიერთობა გიჭირთ.

თქვენ ბრძანებთ, რომ მსაჯთა შორის კერპი არ გყავთ, უბრალოდ ცდილობთ კოლეგათა საუკეთესო თვისებები შენიშნოთ და ისეთივე თქვენშიც განავითაროთ. ჩინებულია!

არც გემოვნება გაქვთ ურიგო. გიყვართ ჯონ გრიშემის ნებისმიერი წიგნის კითხვა, „ნოტინგ ჰილის“ ცქერა (მთავარ როლებში ხომ ჯულია რობერტსი და ჰიუ გრანტი თამაშობენ), შონ კონერის ფილმები და... ისევ და ისევ ჯულია რობერტსი.

კერძის შესახებ შეგეძლოთ სულ არაფერი გეთქვათ. იტალიელ კაცს ცხადია პასტა ანუ ჩვენებურად მაკარონი გიყვათ. იტალიელებს კი არა, პასტა ბარე ორი სხვა ქვეყნის ადამიანებსაც საუკეთესო საჭმელად მიაჩნიათ, მაგრამ თუ სადმე ჩემი დაპატიჟება გადაწყვიტოთ, მაინც და მაინც ნუ დამაძალებთ.

ოჯახის ამბავი ვიცით, თქვენს მეუღლეს ჯოვანა ჰქვია, ქალიშვილებს კი ფრანჩესკა რომანა და კაროლინა. ფრანჩესკა რომანა 9 წლისაა, კაროლინა ხუთის.

ერთი რამ კი ვერ გავიგე და, თუ შეიძლება, გკითხავთ. პროფესიით ფინანსისტი, უფრო სწორად ფინანსურ საქმეთა მრჩეველი, მსაჯობის გარდა რამეს ასწრებთ? ცხადია, აქ იმას არ ვგულისხმობ, გადაღლილი, ფეხბურთის შემდეგ თქვენს საყვარელ სახეობას, კალათბურთს რომ ჩაუჯდებით ხოლმე ტელევიზორში.

ნუ გეწყინებათ და თქვენი პოლიგლოტობისაც მშურს. მშობლიური იტალიურის გარდა ინგლისურს, ესპანურს და ფრანგულს რომ ფლობთ იმაზე მოგახსენებთ.

მაგრამ ნუ გამიბრაზდებით და... როგორ გითხრათ... ნამდვილად არ მშურს თქვენი ვარცხნილობის. ახალგაზრდა მარლონ ბრანდოს ვგავარ მეთქი ვერ გეტყვით, გარეგნობით დიდად ვერც მე დავიკვეხნი, მაგრამ თმა და წარბები.. მაქვს!

ისე, კაცმა რომ თქვას, პოპულარობის ძალიან დიდ პროცენტს სწორედ გარეგნობას უნდა უმადლოდეთ. ჩინებულ მსაჯობას და გარეგნობას. ალბათ, ერთ-ერთ საინტერნეტო ვებსაიტში მოთავსებული ეს კარიკატურაც ნანახი გექნებათ. აქ, ვითომ თქვენი ბავშვობაა გამოსახული. გვერდით ბაგის თუ ბაღის ამხანაგი გიზით. უცბათ თქვენ ეუბნებით, „ნახე მე რა შემიძლია“ და თვალებს კარკლავთ.

კარგია, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ ხუმრობაა. თქვენ გაცილებით მეტი შეგიძლიათ და ეს რიცხვებითაც მტკიცდება: 40 წლის კაცს, ბოლონიაში დაბადებულს და ვიარეჯოში მცხოვრებს, 17 წლისას იმ, ზემონახსენები პირველი მატჩის მსაჯობა განდეს და მას მერე პროფესიონალი ბრძანდებით, 31 წლისა სერია A-ში გამოჩნდით, 35-ისა საერთაშორისო სარბიელზე სადაც დღეს უკვე 52 შეხვედრას გაძღოლიხართ ოლიმპიადის, ჩემპიონთა ლიგის, მსოფლიოსა და ევროპის პირველობათა თამაშების ჩათვლით. მეტი რაღა უნდა მოესწრო კაცს თქვენს ასაკში?!

მეტი მართლა წარმოუდგენელია. თქვენ იღბლიანი ადამიანი ბრძანებულხართ და ბედს ნუ აწყენინებთ. გემუდარებით, ნუ დაივიწყებთ იმ მეგობარს დიდი ხნის წინ რომ შემოგთავაზათ:

— წამო, მსაჯები გავხდეთ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

სოსო
კოტორეიშვილი

სილვან ვილტორდის გოლმა ფინალი თავდაყირა დააყენა

რას მოუყვება ალფონსო შვილიშვილებს მე რომ...

ამ პატარა წერილში ახლახან გასრულებული ევროპის ჩემპიონატის ირგვლივ რამდენიმე მოსაზრებას გაგიზიარებთ, თუმცა, ვიდრე ბელგიურ — ჰოლანდიურ ამებზე გეტყოდეთ, მანამდე 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატს გავიხსენებთ. ნუ გაოცდებით, ცოტა მოთმინება და ყველაფერში გაერკვევით. ესპანეთის მსოფლიოს პირველობაზე ჩამოვაგდეთ სიტყვა და, ალბათ, ფეხბურთის ქომაგთ, უპირველესად გერმანია — საფრანგეთის ნახევარფინალური მატჩი წარმოუდგება თვალწინ. რით იყო გამორჩეული ეს შეხვედრა სხვათაგან? თუნდაც იტალია — ბრაზილიის მეორე ჯგუფური ეტაპის მატჩისგან? მით უფრო, არც ამ თამაშს აკლდა დრამატიზმი და ფეხბურთის გურმანები მსუყე-მსუყე „საფეხბურთო კერძებითაც“ დანაყრდებოდნენ.

პასუხი მარტივია — გერმანელთა და ფრანგთა შეხვედრაში ვიხილეთ ის, რითაც მშვენიერია ფეხბურთი, ანუ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ „ბურთი მრგვალია“ და სად, როდის, მატჩის რომელ წუთზე მოვრჩებიანება ამა თუ იმ კარში შეგორება, ღმერთმა უწყის. ერთი სიტყვით, მაშინ გერმანელებმა შეუძლებელი შეძლეს. პლატინის, ტიგანას, ჟირესის საოცრად ნატეფი და დახვეწილი გუნდის ორბურთიანი უპირატესობა დამატებით დროში თვალსა და ხელს შუა გაანიავეს, მატჩი ფრედ დაასრულეს და პენალტების სერიის მოგების შემდეგ ფინალში გააღწიეს. ალბათ მიხვდით, რატომ დაგვჭირდა ევრო 2000-ზე საუბრისას 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ამ ნახევარფინალური მატჩის გახსენება.

ბელგია — ჰოლანდიაში ასეთი მატჩები, ანუ წაგებული თამაშის სათავისოდ შემობრუნება და შეხვედრის ბედის ბოლო წუთზე გადაწყვეტა, მრავლად იყო. დარწმუნებული ვარ, მომავალში, როცა გულშემატკივრები ევრო 2000-ზე ჩამოაგდებენ სიტყვას, უპირველესად ამ თამაშებს გაიხსენებენ.

მაგალითები გნებავთ? კი, ბატონო.

გულზე ხელი დაიდეთ და ალალად თქვით, ვის გჯეროდათ პავლიჩის ერთი და ზაჰოვიჩის ორი გოლის წყალობით დაწინაურებულ სლოვენიელებს, რომ კაცნაკლული იუგოსლავია სამ ბურთს გაუტანდა? ანდა ფავორიტად შერაცხულ ინგლისელებს პორტუგალია, ფიგუსა და რუი კოშტას საოცარი გოლებით ჯერ გაუთანაბრებდა, მერე კი ნუნუ გომეშის გოლით, სულაც ხახამშრალს დატოვებდა? აგერ, კიდევ: ესპანეთი — იუგოსლავია, შეხვედრა, სპეციალისტთა უმრავლესობამ ჩემპიონატის საუკეთესოდ მატჩად რომ მიიჩნია. ესპანელი ალფონსო, თმა რომ გაუთეთრდება და მუხლებზე შვილიშვილები ჩამოუსხდებიან, წარმოიდგინეთ როგორი სიამაყით მოუთხრობს თავის ნაგრამს იმ გოლის შესახებ, იუგოსლავიელებს რომ გაუტანა მატჩის ბოლო წუთზე. ალბათ, არც გაისკა მენდიეტა ჩაიგუბებს წყალს პირში. მის მიერ გატანილმა პენალტმა ხომ ალფონსოს გმირად შერაცხვას მოუმზადა საფუძველი.

საკმარისია? ერთი ტურნირისთვის, ალბათ, დიახაც რომ კმარა, მაგრამ ჰოლანდია — ჩეხეთისა და რუმინეთი — ინგლისის მატჩებზე არაფერი ვთქვათ?

ეს შეხვედრები დასასრულით ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს. ორივეში მატჩის ბოლო წუთზე დაინიშნა პენალტი. აქ არაფერს ვიტყვით რამდენად სამართლიანი იყო მსაჯთა, კერძოდ იტალიელი პიერლუიჯი კოლინას გადაწყვეტილება. ამ კოლორიტულმა მსაჯმა ჰოლანდიელებს შანსი მისცა და ფრანკ დე ბურმაც შეირგო საჩუქარი. არც რუმინელ განეას მოკვეთია მუხლი ინგლისელთა კარის დალაშქვრისას. არადა, მანამდე, მთელი 90 წუთის მანძილზე რაჯარეულმა მდენი ბრძოლა, გოლის გატანის ქარსგატანებული რამდენი შესაძლებლობა ვიხილეთ? მაგრამ ვისთვის იღბალმა და ვისთვის უიღბლობამ, სწორედ ასე ისურვა ამ მატჩების დასრულება.

თამაში მსაჯის საფინალო სასტვენის შემდეგ მთავრდება. ხომ ხშირად გსმენიათ ეს ფრაზა. ცხადია, ჩვენზე უკეთ ეს ჭეშმარიტება იტალიელმა ფეხბურთელებმაც იციან. თუმცა...

ევრო 2000-ის ფინალი. საფრანგეთი — იტალია. მატჩის ბოლო წუთი, 1:0 იტალიელთა სასარგებლოდ. ტრიბუნებზე მოზეიმე „ტიფოზები“. „სკუადრა აძურას“ სათადარიგოთა სკამი, ხელგადახვეული იტალიელები, რომლებიც საკუთარ თავს ოქროს მედლებით მკერდდამშვენებულებს ხედავენ. ცხვირპირდასისხლიანებული ფრანჩესკო ტოლდო, ჩემპიონატის გმირი. ჰოლანდიელებთან ნახევარფინალურ მატჩში სასწაულები რომ ჩაიდინა, ნაღდად იმსახურებს ევროპის თასს, ფიქრობ კაცი. ამ დროს კი ერთი შეცდომა, ერთადერთი უნებლიე შეცდომა, იტალიელთა გაუვალმა დაცვამ იმ დღეს რომ დაუშვა და ტოლდოც ხომ ადამიანია... 90-ე წუთი. 1:1. მოზეიმე ფრანგები და ცხვირჩამოშვებული იტალიელები, მერე კი, მერე რაც მოხდა ყველამ კარგად იცით.

საფრანგეთმა მსოფლიოს ჩემპიონატის ტიტულს, ევროპაშიც უძლიერესის სახელი მიუმატა.

...ამ პატარა წერილში ახლახან გასრულებული მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატზე რამდენიმე მოსაზრებას გაგიზიარებთ. თუმცა ჯერ 2000 წლის ევროპის პირველობა გავიხსენოთ...

ერთი სიტყვით, თამაში მსაჯის საფინალო სასტვენის მერე მთავრდება.

ერთი სიტყვით, ნუ გამორთავთ ადრე ტელევიზორს, ნურც უდროოდ მიეცემთ ლხენას.

ბოლო წუთზე ალფონსოს (№11) მიერ გატანილმა ბურთმა ესპანეთი მეოთხედფინალში გაიყვანა

2000 წლის 29 ივნისი. ამსტერდამი. ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალი. ჰოლანდია – იტალია 0:0 (1:3პენ.). იტალიელთა მეკარე ფრანჩესკო ტოლდო ფრაკ დე ბურის პენალტს იგერიებს

სოფოკლეს ლანდი

...ბიჭუნა ბურთს ცარცწასმულ ბალახზე დებს. აქედან ფეხბურთელები პენალტებს ურტყამენ ხოლმე. ეს ადგილი პატარისთვის მთელი სამყაროა, მიუწვდომელი სამყარო...

— აუჰ, ნახე რამხელა კარია, თანაც რა ახლოა. სასაცილოა, არა? აქედან როგორ აცილებენ...

იცინის, მერე უცებ სერიოზული ხდება, მოიმართება და მთელი ძალით ურტყამს... ბურთი ნელ-ნელა მიგორავს და კარს სცდება...

სოლომონ გულისაშვილი

...„პირველი პენალტი კარგად შევასრულე, ისევე, როგორც ჩეხებთან, მაგრამ ტოლდოს, ეტყობა ის ეპიზოდი კარგად ახსოვდა და მიმართულება გამოიცნო. მეორედ კი დაღლილობის გამო დავარტყი უხეიროდ“ — ჰოლანდიელი ფრანკ დე ბური ევრო 2000-ის ნახევარფინალში იტალიასთან პენალტებით დამარცხების შემდეგ...

საოცარი რამაა პენალტი. მატჩისას იქნება თუ მატჩის შემდეგ, მნიშვნელობა არ აქვს. პენალტით მოგებულ თამაშს ხშირად არასრულფასოვნად მიიჩნევენ, მაგრამ განა ფეხბურთის სილამაზე მის მოულოდნელობასა და დრამატიზმში არაა? კარგი ფინტი, ეფექტური პასი, ლამაზი გოლი, გონივრული კომბინაცია, უშეღავათო ბრძოლა, ხასიათების ჭიდილი... და ეს ყველაფერი წამის მეათედებში ხდება.

კარგი ფეხბურთი კარგი კლიპივითაა: ერთი სიუჟეტის დაფიქსირებას ვერ ასწრებ რომ უკვე მეორე ჩნდება. მერე, თითქოს ყველაფერი ირევა, თვალი გიჭრელდება და ემოცია გძალავს. მაგრამ მთავრდება თამაში და გეგონება ყველა ეპიზოდი თავისთვის განკუთვნილ უჯრედში დაილექაო, უსასრულოდ შეგიძლია ამა თუ იმ მომენტზე მსჯელობა.

მაგრამ მთავარი მაინც ემოციაა და ამ მხრივ, პენალტს, მითუმეტეს ვერგატანილს განსაკუთრებული ხიბლი აქვს.

ეს არის ნამდვილი დრამა, წინასწარ დაუდგმელი და დაუწერელი სპექტაკლი, რომლის ბოლო ზოგჯერ ანტიკურ ტრაგედიებს მოგვაგონებს: ანუ ისჯება ის, ვის მხარესაც მკითხველი თუ მაყურებელია.

გავიხსენოთ, რამდენ დიდ ფეხბურთელს გაუცუდებია თერმეტმეტრიანი ყველაზე მნიშვნელოვან წუთს, რამდენი ვარსკვლავი გვინახავს თავშიხელწაშენილი. ისინი ხომ ორიოდ წამის წინ გმირები იყვნენ. გმირები, რომლებსაც აუცილებლად უნდა გაემარჯვათ...

მაგრამ კვანძიც აქ იხსნება, მათ მწუხარებას სხვათა მხიარულება და მაყურებლის გაოგნება ერთვის: ბოლმა და სი-

ნანული ერთმანეთს ერწყმის და სპექტაკლიც ამით მთავრდება. ტრიბუნები ცარიელდება და მერე...

ძველბერძენი კლასიკოსის, სოფოკლესეული პათოსი მთელი სიღრმით მჟღავნდება: ანტიკური ტრაგედია- ბედის ტრაგიკულობაა. ადამიანი უძლურია განგების წინაშე. მოსახდენი მაინც მოხდება...

რისი ბრალია ვერგატანილი პენალტი: იღბლის, დაღლილობის, შიშის თუ ფსიქოლოგიური ზეწოლის? ალბათ ცოტ-ცოტა ყველაფრის, თორემ აბა ვინ იტყვის მარადონას, ზიკოს, პლატინის ან ბაჯოს ოსტატობა აკლიათო...

ამ საქმეს ევროპაში მკვლევარებიც გამოუჩნდნენ. ისინი ამტკიცებენ, რომ პენალტის შესრულებისას თავდამსხმელს მეკარესთან უპირატესობა აქვს. გამოითვალეს კიდეც, რომ ევროპულ ჩემპიონატებში თერმიტმეტრიანების დაახლოებით 70 პროცენტი გოლით მთავრდება. თურმე ბურთი კარამდე 0,5 წამის განმავლობაში მიფრინავს, მაშინ, როცა მეკარეს გადასახტომად დაახლოებით 0,55-0,60 წამი სჭირდება. ასე რომ, კარის დარაჯს ერთადერთი შანსი რჩება — გამოიცნოს დარტყმის მიმართულება. თანაც არა ბრმად, არამედ გარკვეული ნიშნების მიხედვით. ასე მაგალითად, მარკ უილიამსმა, ლივერპულის უნივერსიტეტიდან, ექსპერიმენტი ჩაატარა: დიდ ეკრანებთან მეკარეების ორი ჯგუფი დასვა. პროფესიონალები და მოყვარულები. ეკრანებზე ხუთი ფეხბურთელი ურტყამდა პენალტს. ჩანაწერი ოთხჯერ გააჩერეს დარტყმამდე 1,2 და 0,4 წამით ადრე, დარტყმისას და დარტყმიდან 0,4 წამის შემდეგ. ყოველი გაჩერების დროს მეკარეებს უნდა გამოეცნოთ საით დაარტყამდა ფეხბურთელი. ცხადია, პროფესიონალებმა ამოცანას უკეთ გაართვეს თავი.

ექსპერიმენტისას დადგინდა, რომ მეკარეს დამრტყმელის თეძოების მდგომარეობით შეუძლია მიმართულების გამოცნობა. ვანკუვერელი მეცნიერები კი მიიჩნევენ, რომ მეკარემ დამრტყმელის საყრდენ ფეხს უნდა უყუროს, როგორც წესი, მისი ჭვინტი დარტყმის მიმართულებას უჩვენებს.

მოკლედ, ვარაუდები ბევრია და თითქოს მომზადებულ მეკარეს პენალტის აღება არ უნდა გაუჭირდეს, მაგრამ... ყოველგვარი თეორია და აქსიომა უძლური ხდება, როცა ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალია და ერთ დარტყმას ყველაფრის გადაწყვეტა ძალუძს.

2000 წლის 25 ივნისი. ბრიუგე. ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალი. საფრანგეთი – ესპანეთი 2:1. ბოლო წუთზე ესპანელმა რაულმა ფრანგ ფაბიენ ბარტეზს პენალტი ვერ გაუტანა

„არ ვიცი როგორ მოვახერხე, პენალტებისთვის საგანგებოდ ვერ მოემზადები. ამიტომ ინტუიციის იმედადღა რჩები — ამბობს იტალიის ნაკრების მეკარე ფრანჩესკო ტოლდო — ვფიქრობ, როცა საქმე მატჩისშემდგომ თერმიტმეტრიანებამდე მივიდა, ფსიქოლოგიური უპირატესობა ჩვენ მხარეს იყო. ჰოლანდიელებმა ხომ თამაშის დროს უკვე ორჯერ ვერ გაიტანეს“.

იმას, რაც ერთი თვის წინ ევრო 2000-ის ნახევარფინალში მოხდა, ანალოგი ძნელად თუ მოეძებნება. მასპინძელმა ჰოლანდიამ იტალიასთან მატჩში ექვსი პენალტიდან ხუთი... ვერ გამოიყენა. აქედან ორი თამაშის დროს დაუნიშნეს, სამიც მატჩისშემდგომი იყო. „ტრაგედიის გმირი“ ამჯერად ფრანკ დე ბური გახდა. ჯერ იყო და კლუივერტის წაქცევისთვის დანიშნული თერთმეტმეტრიანი დარტყმა ტოლდომ ჩინებული ნახტომით აუღო. მერე, როცა მატჩისშემდგომი პენალტების დრო დადგა, ჰოლანდიელთაგან ბურთთან პირველი ისევ ის მივიდა...

... „პენალტების შესრულებაზე ყოველდღიურად ვვარჯიშობდით, მაგრამ მატჩის დროს არსებულმა ფსიქოლოგიურმა ზეწოლამ ჩემს ფეხბურთელებზე უარყოფითად იმოქმედა“ — ჰოლანდიელთა მწვრთნელი ფრანკ რაიკარდი იტალიასთან წაგების საღამოს...

ზემოთ ყველაზე მნიშვნელოვანი წუთის ფასი ვახსენეთ და აი, ეს მნიშვნელოვანი წუთი ერთ საღამოს უკვე მეორედ ვერ გამოიყენა დე ბურმა. როგორც თვითონ თქვა, მეორედ დაღლილობის გამო ვერ გავიტანეო, მაშ პირველი რატომ მიდიოდა დასარტყმელად, ამ პენალტს ხომ ლამის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, ყოველ შემთხვევაში, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით მაინც? ვინ იცის, ეგებ თავისი გაფუჭებულის გამოსწორება სურდა, უარესი კი გამოუვიდა — ისევ უნიათო დარტყმა და ტოლდო.

ჰოლანდიელთაგან შემდეგი იაპ სტამი ურტყამდა, მაგრამ უკვე ისე იყო მოშლილი (მეორე ტაიმში ხომ პატრიკ კლუივერტმა კიდევ ერთი პენალტი ძელს გაარტყა), რომ კარის ზემოთ, მაყურებლებში დაარტყა. აქ ყველაფერი დამთავრდა და იტალიამაც შანსი ხელიდან აღარ გაუშვა.

„ახლა გაიგებენ რა განიცადა მაშინ საუთგეიტმა“ — დაწერა მერე ერთმა ინგლისურმა გაზეთმა და ევროპის წინა ჩემპიონატზე თავისიანების ნახევარფინალში გავარდნის ამბავი გაიხსენა.

რამდენიმე დღით ადრე, ესპანეთ — საფრანგეთის მეოთხედფინალში თავისი ნაკრები წლევანდელი გაზაფხულის უდავო გმირმა რაულ გონსალეს ბლანკომ დააღალატა. სამხრეთელთა ტრადიციულად უდაძაბულესი მატჩის დამთავრებას სულ რაღაც წამები უკლდა, როცა ფრანგთა მეკარე ფაბიენ ბარტეზმა თავის საჯარიმოში მოწინააღმდეგის კაპიტანი აბელარდო წააქცია.

რაულმა ბურთი პენალტის ნიშნულზე გაასწორა: ფრანგები 2:1-ს იგებენ, თუ გაიტანს დამატებითი დრო დაინიშნება, მერე კი ყველაფერი შეიძლება მოხდეს. მაგრამ მადრიდელთა კერპმა კარს ააცილა...

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ფეხბურთელს გატანის მეტი შანსი აქვს, თუკი ბურთს კარის ზედა ნაწილში დაარტყამს. მეკარე, როგორც წესი, დაბალ კუთხეს ირჩევს და გოლიც თითქმის ასპროცენტიანია. მაგრამ... მაგრამ ასეთ შემთხვევაში დიდი შანსია ბურთი საერთოდ ააცდინო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარს. ასე გამოუვიდა რაულს, ასევე დაემართა ჰოლანდიელ იაპ სტამს იტალიელებთან მატჩისშემდგომ პენალტებში.

„ის, რაც ბოლო წუთზე შეგვემთხვა უიღბლობაა, მაგრამ რა ვქნათ, ფეხბურთში ასეთი რამეები იშვიათი როდია“ — ესპანელთა მწვრთნელი ხოსე ანტონიო კამაჩო.

... „რა მოხდა? თვითონაც არ ვიცი. საოცარია, 1982 წელს გერმანელებთან ნახევარფინალში პენალტი გავიტანე და წავაგეთ, ახლა ვერ გავიტანე და მოვიგეთ... რა ვიცი, რაღა უნდა ვთქვა“ — ფრანგთა კაპიტანი მიშელ პლატინი ბრაზილიელებთან ფანტასტიკური მეოთხედფინალის მერე...

1986 წლის 21 ივნისს გვადალახარას „ხალისკოს“ სტადიონზე, მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალში ბრაზილია საფრანგეთს შეხვდა. და რა მოხდა? ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დიდებული მატჩის ბედი უდიდესი ფეხბურთელების ვერგატანილმა პენალტებმა გადაწყვიტა.

იმ დღეს ფრანგთა კაპიტანი მიშელ პლატინი 31 წლისა გახდა. ბრაზილიელების იუბილარებისადმი განწყობა კი განსაკუთრებული გახლდათ. მანამდე, ჩრდილოეთ ირლანდიასთან შეხვედრის წინ, მეკარე პიტერ ჯენინგსი ორმოცდაერთისა მოიყარა და ბრაზილიელებმა მას სამახსოვრო თასი აჩუქეს, მერე კი სამი ბურთი გაუტანეს. ზუსტად ასეთივე თასი უსახსოვრეს პლატინისაც და როგორც აღმოჩნდა, მისტიკურმა თილისმამ თავისი საქმე მაინც გააკეთა: მატჩისშემდგომი პენალტებისას, თერთმეტმეტრიანების უზადო შემსრულებელმა ცხოვრებაში პირველად ვერ გაიტანა. ბურთი ხარიხას გადაეცილა...

... „ბიჭები მთელი კვირის განმავლობაში ამუშავებდნენ თერთმეტმეტრიანებს. სეზარს ერთიც არ აუცილებია. ახლა კი ძელს მოარტყა“ — ბრაზილიელთა მწვრთნელი ტელე სანტანა 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალში ფრანგებთან ნაგებული მატჩის შემდეგ...

თამაში 1:1 დამთავრდა და პენალტის დასარტყმელად ბურთთან პირველი ბრაზილიელი სოკრატესი მივიდა. კაცი, რომელსაც თერთმეტმეტრიანები ყოველთვის და თანაც ეფექტურად გაჰქონდა. მაგრამ ფრანგებმა მისი ამბავი იციან, სოკრატესი გამორბენის გარეშე, მეკარისგან მარჯვენა მაღალ კუთხეში დაარტყამს. ზუსტად ასევე გაუტანა მანამდე პოლონეთსაც. ამჯერად ფრანგთა მეკარე ჟოელ ბატსი მარჯვობს და იგერიებს...

1994 წლის 17 ივლისი. ლოს ანჯელესი. მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი. ბრაზილია – იტალია 0:0 (3:2პენ.). იტალიელმა რობერტო ბაჯომ გადამწყვეტი თერთმეტმეტრიანი აცილა

„რა მოხდა, ვერ გეტყვით. ეტყობა გადაღლილი ვიყავი და ფეხები ვეღარ დავიმორჩილე. ამ დროს კი, მოგეხსენებათ, დარტმყის სიმწვავე და სიზუსტე კლებულობს“ — თქვა სოკრატესმა.

იმავე მატჩში ვერ გაიტანა ლეგენდარულმა ზიკომაც. ის მინდორზე მეორე ტაიმის შუაში გამოიყვანეს და თითქმის მაშინვე ჩინებული პასით ბრანკოს მოწინააღმდეგის საჯარიმოსკენ გაუხსნა გზა. ბრანკო წააქციეს და პენალტი. ბრაზილიელები ერთმანეთს ულოცავენ, თავი უკვე ნახევარფინალში გონიათ მაგრამ...

„პენალტის დარტყმა არც მიფიქრია. წესით სოკრატესს უნდა დაერტყა, მაგრამ უცებ დამიძახა, შენ დაარტყიო“ — იხსენებს ზიკო.

ზიკომაც დაარტყა, მაგრამ ბატსმა მოიგერია... ესეც ზიკოს პირველი ვერგატანილი პენალტი გახლდათ.

მერე ბრაზილიელმა სეზარმა ძელს მოარტყა და ლუის ფერნანდესის დამაგვირგვინებელით ფრანგები ნახევარფინალში გავიდნენ.

მატჩის შემდეგ ბრაზილიაში ორი ათასზე მეტი გულშემატკივარი წაიყვანეს საავადმყოფოში. შვიდ კაცს ნერვიულობისგან გული გაუსკდა. მათ შორის იყო ბრაზილიელთა მწვრთნელის ტელე სანტანას 82 წლის მამა. მას პენალტების სერიის ჩათავებისთვისთანავე დაარტყა ინფარქტმა...

დიდ სანაკრებო ტურნირებზე თერთმეტმეტრიანები ვერ გაუტანიათ: ული ჰიონესს, კაზიმეუ დეინას, ანტონიო კაბრინის, რობერტო ბაჯოს, ფრანკო ბარეზის, დიეგო მარადონას, პრებენ ელკიაერ-ლარსენს...

კიდევ უამრავი კარგი ფეხბურთელი შეიძლება დავამატოთ.

ნუთუ ვინმეს ამათ ოსტატობაში ეჭვი ეპარება? ალბათ, არა, მაგრამ სოფოკლეესულ პათოსს რა ვუყოთ...

... „როცა ბურთისკენ წავედი თითქოს თვალთ დამიბნელდა. როგორ დავარტყი აღარც კი მახსოვს. როცა გონს მოვედი ყველაფერი დამთავრებულიყო“ — იტალიელი რობერტო ბაჯო 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში ბრაზილიასთან პენალტებით დამარცხების მეორე დღეს...

ეროვნული ბიბლიოთეკა



ზინედინ ზიდანი

მიშელ პლატინი

პარალელები

ირაკლი გამყრელიძე

ისე გამოვიდა, რომ ფრანგული ფეხბურთის ორი ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი რაიმონ კოპა და მიშელ პლატინი ემიგრანტთა, პოლონელებისა და იტალიელების შთამომავლები იყვნენ.

ამ ტრადიციას ერთგვარად აგრძელებს ზინედინ ზიდანიც, მარსელში გადმოსახლებულ ალჟირელთა შვილი, რომელიც აშკარად მიიწევს იმისკენ, რომ ფრანგული ფეხბურთის მესამე ბურჯი შეიქნეს.

ორი დიდი წინამორბედისგან განსხვავებით, ზიდანს აქვს ფეხბურთელისთვის უძვირფასესი, სანუკვარი ტიტული მსოფლიოს ჩემპიონისა. ზიდანი ის ფეხბურთელია, ვინც დუბლი შეასრულა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში.

კოპაცა და პლატინიც (ორჯერ) ახლო იდგნენ ფინალთან, მაგრამ ვერ მიაღწიეს ოქროს მედლებამდე.

მეორეს მხრივ, კოპასა და პლატინის ბევრად მეტი საკლუბო ტიტულები მოუპოვებიათ, ვიდრე ზიდანს.

თუმცა, ამ გარეგნულ სატიტულო მსგავსებას მაინც მეორეხარისხოვნების იერი დაჰკრავს. საინტერესო, ამ მოთამაშეთა შედარება და მასშტაბებია.

როგორ მოხერხდება ეს პატარა საჟურნალო წერილში, მალე გამოჩნდება.

ყველა დიდი ფეხბურთელი რაღაცით ჰგავს ერთმანეთს, მაგრამ ყველა დიდ ფეხბურთელს აქვს თავისი, მხოლოდ თავისი საფირმო ნიშნები.

კოპას „ბატონ მილიმეტრს“ ეძახდნენ. მისი ეპოქა ნატიფი ტექნიკისა და აბსოლუტს მიახლოებული სიზუსტის დროება იყო. პლატინის ჟამი გახლდათ ათწლეული, ეგრეთ წოდებულ, „დირიჟორთა“, წინწაწეულ შუა ნახევარმცველთა ზეობისა, რასაც თავად ეს ფრანგი განასახიერებდა. ეს იყო დრო ტანხმელ ინტელექტუალთა, რომლებიც გამჭოლი, მაღალი პასებით ჭრიდნენ სივრცეებს და საჯარიმოშიც ბრწყინვალედ მოქმედებდნენ.

კოპას ლიდერობა შეეძლო, მაგრამ ხშირად აღმოჩენილა სხვათა ჩრდილში, უფრო დიადთა დამხმარედ. პლატინი ყოველთვის ლიდერი იყო. კოპას ერთხელ გადასცეს ევროპის ოქროს ბურთი, პლატინის — ზედიზედ სამჯერ. 80-იანი წლების პირველი ნახევარი მთლიანად პლატინისა იყო. იმხანად მსოფლიოში არსებობდნენ მასზე დიდი მოთამაშენიც, მაგრამ პლატინი ევროპის ნაღდი მპყრობელი გახლდათ. კოპამ კი ეგრეც ვერ დაიპყრო ევროპა. მისი ეპოქა მოითხოვდა ვარსკვლავობას და კიდევ მეტს.

არც კოპა და არც პლატინი იყვნენ ისეთი ზორბა ბიჭები, ზიდანი რომ გახლავთ. მაგრამ თუ კოპა „ბატონი მილიმეტრი“ იყო, პლატინისგან გაგვახსენდება ნატიფი რაციონალიზმი. თუკი ამ ორი სიტყვის შეთანხმება შეიძლება, ისინი სწორედ ამ ფეხბურთელში უნდა შევათანხმოთ. პლატინის გოლები და პასები უაღრესად რაციონალური იყო. პოზიციისა და სივრცის ზღაპრული შეგრძნება, სიზუსტე და სისადავე, რაც მხოლოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდ ფეხბურთელებს ხელეწიფებათ — აი, პლატინი.

პლატინი შეუცვლელი იყო. ის მთავარი გახლდათ. ის გადამწყვეტი იყო. 1984 წლის ევროპის ჩემპიონატი — აი, მთავარი და საუკეთესო პლატინი.

როგორია ზიდანის დროება?

ყველაზე იოლია, რომ ვთქვათ — იგია ხისტი, სივრცეების პოვნისთვის მოწოდებული ფეხბურთის დრო. დღევანდელი ვარსკვლავი მოფარიკავეს ჰგავს — წამის მეასედში მჩხვლეტელ კაცს, რომელმაც მოწინააღმდეგის სხეულზე შეამჩნია სულ ცოტა ხნით მოშიშვლებული ადგილი.

აბა, დახუჭეთ თვალები და წარმოიდგინეთ ზიდანი.

თითქოს მოუქნელია, არა? ისეთივე თითქოს მოუქნელი, როგორც პლატინი. უფრო თვალში საცემადაც. ჯანიანი ბარძაყები, ფართო მხრები, დიდი ხელები, პლატინი არასოდეს ტრიალებდა სამ კაცში. მისი ცრუ მოძრაობა სადა იყო. მას ჰქონდა უნარი თავისუფალ ადგილზე ბურთის ორჯერ შეხებით გასვლისა და აი, ზიდანი ბურთს იღებს. პლატინისგან განსხვავებით, ის ყოველთვის დასცქერის ბურთს. პლატინისგან განსხვავებით მისი ვითომ მოუქნელი ფეხები, ძალიან უცნაურად, თითქოს არარაციონალურად მოძრაობს. ერთი შეხება, მეორე, მესამე. მორჩა... გაიბლანდა!

ამ დროს კი ზიდანი არ გაიბლანდა. სწორედ ეს ბლანდვა არის მისი ერთ-ერთი საფეხბურთო ნიჭის გამოხატულება. დღევანდელ ფეხბურთში ზიდანი არის ერთდადერთი მოთამაშე, რომელსაც ადგილზე, სისწრაფის გარეშე ამგვარი რამეების კეთება შეუძლია. სამ კაცს დაუძვრე ერთ კვადრატულ მეტრზე — ეს ომარ სივორის და გარინჩას თუ შეეძლოთ.

მე თუ მკითხავთ, მთავარი ზიდანის თამაშში სწორედ ეს არის.

REUTERS

ზიდანის ვითომ მოუქნელი ფეხები მართლაც უცნაურად მოძრაობს

სხვანაირად რომ ვთქვათ, პლატინი უფრო ჰარმონიული ფეხბურთელი იყო. არა, ზიდანსაც გააქვს გოლები, ზიდანიც მშვენივრად ურტყამს ჯარიმებს, ზიდანსაც ეხერხება საუცხოო პასები — მეტად ლამაზი და ეფექტური, მოჭრილი, აჭრილი. მაგრამ ზიდანი უფრო მონაკვეთების მოთამაშეა. არა ეპიზოდების, არამედ მონაკვეთების. ხშირად გვინახავს პასიური და როგორღაც ხასიათწამხდარი ზიდანი და, მისი პასიურობის მიუხედავად ფრანგებს უმარჯვიათ. განა პლატინი არ დაუკეტავთ? განა მას არ ცელავდნენ? მაგრამ პლატინი სტრატეგი იყო. მის ხელში მთელი თამაში იყო, ზიდანის ხელში კი მხოლოდ მონაკვეთია და რაც უფრო დიდხანს გრძელდება ეს მონაკვეთი, მით უფრო საუცხოოა ზიდანი.

ამ საუბრისას უფრო სანაკრებო თამაშს ვგულისხმობდით.

ისტორია კი ისე აეწყო, რომ ზიზუსაც და პლატინისაც ერთ კლუბში, „იუვენტუსში“ მოუწიათ თამაში. პლატინის — ჯოვანი ტრაპატონის, ზიდანს — მარჩელო ლიპისა და კარლო ანჩელოტის ხელში. საკვირველი არაფერია, თუ ვიტყვით, რომ ნამდვილი ზიდანის სანახავად საფრანგეთის ნაკრების ცქერა სჯობს და არა „იუვენტუსისა“. ანჩელოტის ხელში ზიდანი არ არის მონაკვეთების კაციც კი, ის ეპიზოდის კაცია. ლიპის ხელში საქმე სხვაგვარად იყო, თუმცა, თუ 80-იანი წლების „იუვენტუსის“ გახსენებისას ისევ და ისევ პლატინი და მისი საოცარი მეწყვილე, ზიბი (ზბიგნევ ბონეკი) გაგვახსენდება. იტალიური სამწვრთნელო ფილოსოფია ჩარჩოებს ყოველთვის გულისხმობდა, მაგრამ პლატინის შემთხვევაში ძია ტრაპიმ თქვა: „ის თამაშობს და ჩვენ ხელის შეშლას არ ვაპირებთ, უბრალოდ, უნდა გამოვიყენოთ ყველაფერი რაც აქვს“.

პელემ კი განაცხადა: „თუ ზიდანი კიდევ ხუთ წელიწადს ითამაშებს ასე, მაშინ მსოფლიოს უდიდეს ფეხბურთელთა შორის დაიმკვიდრებს ადგილს“.

მაინც ხმამაღალი ნათქვამი მგონია, თანაც, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომელ კლუბში ითამაშებს ზიდანი.

მიშელ პლატინი სიზუსტით და სისადავით გამოირჩეოდა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

REUTERS

ოქროს ნახტომი

ამერიკელი მძლეოსანი მარიონ ჯონსი სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე ხუთი ოქროს მედლის მოპოვებას აპირებს, ხოლო რადგანაც ეს იოლი საქმე არ გახლავთ, ყურადღებაც ცოტა მეტი ერგება.

პროექტი მსოფლიოს ამგვარად გაკვირვებისა შარშან იშვა, წლის მეორე ნახევარში, როცა სევილიის მსოფლიოს პირველობაზე ზურგდაჭიმული ჯონსი კომპრესებით შეფუთული იწვა და ჭერსმიშტერებული ბუზებს კი არ ითვლიდა, მომავალზე ფიქრობდა. გეგმა რეალური ჩანს: ასმეტრიან სპრინტში მარიონის სწორუპოვრობა ერთი ხანია სადაოდ არვის გაუხდა, ორასმეტრიანზეც იგივეს ვიტყვით და 4X100 და 4X400 მეტრიან ქალთა ესტაფეტებზე კი კუპრივით შავი და ალვისხესავით აშოლტილი ამერიკელი გოგოების ბატონობა სულაც ბოლო ათწლეულის მოდად იქცა. ესეც პოტენციური ოთხი ოქროს მედალი და ერთი სიგრძეზე ხტომაა მხოლოდ, ჯონსის გულში ხინჯად რომ დაბუდებულა. გამორბენი მარიონს, ცხადია, არაჩვეულებრივი აქვს, მაგრამ, ეტყობა, ჰაერთან ჩახუტებას ვერ ახერხებს სხვებზე უკეთ და ის სინუსიოდის მაგვარი შედეგებიც აქედან მომდინარეობს, ჯონსმა სპორტული აღდგომის შემდეგ სიგრძეზე ხტომაში წლეულს რომ უჩვენა: კროლინას შტატი, რელეის ტურნირი — მეორე ადგილი და ბაჰამელი ჩანდრა სტარაპთან 15 სანტიმეტრით ჩამორჩენა; ორეგონის შტატი, იუჯინის ტურნირი — პირველი ადგილი; რომი, „ოქროს ლიგის“ ეტაპი — მესამე პოზიცია, რუსი ტატიანა კოტოვასა და იტალიელი ფიონა მეის შემდეგ...

მოკლედ, ამერიკის პირველობას, იანკები ნაკიან წლებში ოლიმპიური ნაკრების დასაკომპლექტებლადაც რომ იყენებენ, ჯონსი არცთუ მხნედ შეხვედრია: სიგრძეზე ხტომაში მინიმუმ პრიზიორობაც სათუო ჩანდა, ეს კი ნაკრების კარის დახურვას მოასწავებდა. ამას დაემატა „ტრაიელსზე“ (პირველობის მეორე სახელია) გამეფებული დაძაბულობა და რამდენიმე სპორტული ტრაგედია: ჯეფ ჰარტვიგისა ჭოკით ხტომაში. ვეტერანთა, კარიერაში ბოლო გაბრძოლებას ამაოდ რომ ცდილობდნენ და რაც მთავარია, მორის გრინისა და მაიკლ ჯონსონის ერთობლივი 200 მეტრიანი რბოლა, რომლის ფინიშს ვერც ერთმა უწია, ტრავმებმა ორივე შუაგზაზე წააქცია. ამ დაძაბულ გარემოში ჯონსმა 100 და 200 მეტრი მაინც უდრტვინველად მოიგო, მერე კი სახტუნაოდ გავიდა, მაგრამ თავიდან თავშისაცემად ჰქონდა საქმე, პირველი ორი ნახტომის ფასი კაპიკი გახლდათ და, მათ პატრონს სამეულში კი არა, ათეულში მოხვედრა არ შეეძლო. ჯონსი შეღონდა, ტირილს არაფერი უკლდა, მაგრამ მზრუნველი მეუღლის თვალებს ხომ ხშირად ნიაგარას ძალა აქვთ და ჩაკურატებული ბირთვის მკვრელი სი ჯეი ჰანტერიც იქვე, ორიოდ მეტრში იდგა. ჯონსის მესამე ნახტომმა ყველაფერი გადაწყვიტა: 7 მეტრი და 2 სანტიმეტრი „ტრაიელსის“ მოსაგებად და ნაკრებში ადგილის დასაბევებლად საკმაოზე მეტიც იყო. ჯონსმა სიდნეიში ხუთგან გამოსვლის უფლება უკვე მიიღო და როგორ გამოიყენებს, ეს უკვე მომავლის საქმეა, ორ თვეში გამოჩნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქვთ და...

ძალიან, ძალიან კარგია, როდესაც ფული თავზესაყრელად გაქვს. მართალია, კაცი შეიძლება პრობლემის წინაშე დადგე, ამდენ დოლარს (მარკას, ფრანკს, გირვანქას... ლარი იყოს, რა) რა ვუყოთ, მაგრამ სჯობს ეს გაწუხებდეს, ვიდრე ის, რაც ისტორიული კოლხეთისა და ევროიის მკვიდრთ გვაწუხებს.

ევროპულ ფეხბურთში ივლისი დიდფულიანობის თვე გამოდგა. ჯერ იყო და რომის „ლაციომ“ დაამყარა მსოფლიო რეკორდი — „პარმას“ არგენტინელ ერნან კრესპოში 54,16 მილიონი დოლარი გადაუხადა, მაგრამ დაახლოებით ორ კვირაში იტალიელებს რეკორდი ესპანელებმა მოუხსნეს: მადრიდის „რეალმა“ „ბარსელონასგან“ პორტუგალიელი ლუიშ ფიგუ (ფოტოზე) 56 მილიონად იყიდა.

REUTERS

REUTERS

მე ვაჭმევ რაღაცას

მაიკ ტაისონის განცხადებიდან, ლუისის შვილებს შევჭამო, სამი კვირის თავზე ლენოქს ლუისი ლონდონში შეხვდა სამხრეთაფრიკელ ფრანსუა ბოთას და მეორე რაუნდში ბაგირებში შეაგდო.

ეს იყო ლუისის პირველი ბრძოლა ლონდონში უკანასკნელი ექვსი წლის მანძილზე. მსოფლიოს ნაღდმა ჩემპიონმა იმგვარი გაალმასებით იკრივა, რომ ბოთამ ერთი ხეირიანიც ვერ მოარტყა. მედია ხუმრობდა, ლუისი ბოთას კი ეკრივებოდა, მაგრამ თვალწინ ტაისონი ედგაო. მისმა საშინელმა მარჯვენა-მარცხენა-მარჯვენამ აფრიკელი თოკებში გახლართა და ზეწამომდგარ ბოთას, რეფერი ლარი ო'კონელმა ბრძოლის გაგრძელების უფლება აღარ მისცა. ბოთამ ბრძოლის მერე თქვა: მომზვდა, მაგრამ კრივი კიდევ შემეძლოო.

სხვათა, შორის ეს ო'კონელი ის კაცია, რომელიც დამთვლელად იყო ლუის-ჰოლიფილდის პირველ, ფრედ-დასრულებულ ბრძოლაზე და გვარიანი კრიტიკაც იწვნია იმის გამო, ლუისს ქულები რომ არ ჩაუთვალა. რეფერად უკეთესი ყოფილაო, იოხუნჯეს ლუისის ბანაკში.

თავად ლენოქსი კი მხოლოდ ტაისონზე ლაპარაკობდა. ჩემპიონმა ხელი აღმართა და თქვა: „ეგ შეჭმაზე ლაპარაკობდა. მოვიდეს აქ და მე ვაჭმევ რაღაცას“.

ბოთასთან ბრძოლაში ლუისმა 6 მილიონი მიიღო, ტაისონთან შეხვედრა კი ჯერ შორსაა. სავარაუდოდ ნოემბერში ლუისი შეხვდება ფედერაციის (იბფ) პირველ პრეტენდენტს, ამერიკის მკვიდრ სამოელს, დევიდ ტუას, რომელმაც უკვე დაიგდო სახელი მძიმე წონაში.

„ჩემნაირ მოკრივეს ტუა ჯერ არ შეხვედრია“, ამბობს ლუისი „თუმცა, თუკი ვინმეს ეკუთვნის ტიტულისთვის ბრძოლა, სწორედ მას“.

ამერიკელის მოგზაურობა საფრანგეთში

87-ე „ტურ დე ფრანსი“ საკმაოდ სანახაობრივი და დაძაბული გამოდგა. რამდენიმეწლიანი შესვენების შემდეგ მის პროგრამაში გუნდური რბოლაც შეიტანეს. პროლოგის სიგრძე თითქმის ორჯერ გაიზარდა და იგი ეტაპადაც გადაიქცა. მრბოლებმა თავიდან პირინეის მთებში სცადეს ძალა, შემდეგ კი ალპებამდე, მითიურ ვანტუს მთაზეც ავიდნენ, სადაც იულიუს კეისრის ბრძანებით ჩვენი წელთაღრიცხვის დადგომამდე ტაძარი აუშენებიათ. „ტურის“ ბოლოსკენ კი დიდი ინდივიდუალური ეტაპიც (58,8კმ) მოეწყო, იგი ლენს არმსტრონგმა მოიგო და თავისი პირველობა დაამტკიცა.

შეჯიბრების დაწყებამდე ამერიკელის მთავარ მეტოქეებად იან ულრიხი, მარკო პანტანი, რიშარ ვირანკი და ალექს ცულე ითვლებოდნენ. ამ ოთხეულიდან მხოლოდ ორმა გაძლო ბოლომდე, პანტანიმ და ცულემ კი ტურნირი შუა გზაზე მიატოვეს. „მეკობრედ“ მონათლულმა პანტანიმ მანამდე მთებში მშვენივრად ირბოლა და ორი ეტაპიც მოიგო, შვეიცარიელმა კი თავი ვერაფრით გამოიჩინა.

ულრიხმა თავის მაქსიმუმს მიაღწია, მეორე ადგილი დაიკავა. მაქსიმუმს იმიტომ, რომ „ტურისთვის“ იგი იდეალურ ფორმაში ნამდვილად არ იყო. „ტურ დე ფრანსის“ ნამდვილი აღმოჩენები იყვნენ ხოსება ბელოკი (საერთო ჩათვლაში მე-3 ადგილი), სანტიაგო ბოტერო (მთის მეფის ჩათვლის მოგებული) და საუკეთესო ახალგაზრდის ტიტულმოპოვებული ფრანსისკო მანსებო. გერმანელმა ერიკ ზაბელმა კი საუკეთესო სპრინტერისთვის განკუთვნილი მწვანე მაისურა ზედიზედ მეხუთედ დაისაკუთრა და რეკორდსმენიც გახდა.

შემდეგი „ტური“ საათის ისრის მიმართულებით შემოუვლის საფრანგეთს, სტარტს დანკერკში აიღებს, ფინიში კი ტრადიციულად პარიზში მოეწყობა. ალბათ, მომავალი „ტურიც“ წლევანდელივით საინტერესო იქნება და, შესაძლოა, არმსტრონგმა ზედიზედ მესამედაც იმარჯვოს.

იან ულრიხი და ლენს არმსტრონგი

ᲗᲔᲗᲠᲘᲓᲜᲘᲡ ᲡᲘᲛᲬᲕᲐᲠᲔᲑᲘᲗ

ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲡᲕᲐᲜᲘᲫᲔ
ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ-ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

ᲛᲬᲕᲐᲜᲔ ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝ

როდესაც უიმბლდონიდან გამოყოლილ შთაბეჭდილებებზე მიდგება საქმე, ჩემდა გასაოცრად წვიმა, მოდრეკილი ცა ან ბულვარული გაზეთები კი არა, მწვანე ფერი მახსენდება.

ვერ გეტყვით, ღებავენ თუ არა „როლან გარისის“ ორგანიზატორები ყველაფერს წითლად ან აშშ-ის ღია ჩემპიონობის ორგანიზატორები ყველაფერს ასფალტისფრად, მაგრამ „ოლ ინგლენდ კლაბში“ მოთამაშეების ტახისამოსის გამოკლებით მხოლოდ მწვანე ფერის ზეობაა.

მწვანეა არა მარტო ბალახის საფარი, არამედ ყველა კედელი, აბრა, სვეტი, ბრეზენტი, ოფიციალური ტანსაცმელი, სკამი და სახურავი კორტებზე, ღობე, ბლაკტი, ჩრდილიც კი.

თხემით ტერფამდე მწვანეა მსოფლიოს ყველაზე ცნობილი სარეგბურთო სარბიელი — უიმბლდონის ცენტრალური კორტიც. სხვა ფერს აქ მხოლოდ ტურნირის მეორე კვირიდან შეამჩნევთ, როდესაც მოთამაშეთა ფეხქვეშ საფარი თანდათან ცვდება. ჯერ მოწოდების ადგილებზე, მერე კი თანდათან უკანა ხაზის გასწვრივ და ბადისკენ ვიწრო ზოლად საფარი მოყვითალო — მიწისფერი ხდება.

როგორც ამბობენ, ადრე ბალახი ჯერ ბადესთან ითელებოდა. მაშინ ჩოგბურთში რომანტიკული, შეტევი ყაიდის მოთამაშეები ჭარბობდნენ, რომლებიც მოწოდებისთანავე წინ გარბოდნენ და დაუშვებელი ბურთით თამაშს ამჯობინებდნენ. თუმცა ბოლო ორ ათწლეულში „სერვ-ენდ-ვოლის“ ხელოვნება სულ უფრო გადაგვარდა, ყველაზეერი ზოლი უკანა ხაზის გასწვრივ კი სულ უფრო ფართოვდება.

ცენტრალური კორტი მართლაც საოცარი ადგილია. სხვადასხვა თაობის უამრავ ვარსკვლავს უთქვამს, ასეთი სტადიონი სხვაგან არსად არისო და ეს თვალის ერთი შევლებითაც შეიგრძნობა. ტრიბუნები ლაშის გვერდითი ხაზიდან იწყება, მათი ნახევრზე მეტი დაბლა ჩამოწოლილი სახურავის ჩრდილქვეშაა შემალული და იქ შეადგის მზის ქვეშაც კი შესამჩნევად ბნელა.

ალბათ, ამის შედეგად კორტზე მყუდრო, ოდნავ მისტიური აბმოსფერო სუფევს, კაცი ძნელად თუ დაიჯერებ, რომ აქ 14 ათასი მაყურებელი ეტევა. მითუმეტეს არ უნდა გაიკვირვო, თუ შენს მეზობლად, ვოქვათ, ტომ ჰენკსს, ბრიტანეთის სამეფო ოჯახის რომელიმე წარმომადგენელს, ან მაკან ლამაზმანს იხილავ.

ცენტრალური კორტიდან ყველაზე მეტად 2000 წლის ჩემპიონატის უკანასკნელი დღე, კაცების ფინალი დამამახსოვრდა, ორსაათნახევრიანი თავსმა, დამბული ლოდინი და ბალახამდე წამოწოლილი სიბნელე.

პიტ სამპრასისა და პატრიკ რაფტერის ოთხსეტიან ორთაბრძოლაში გამორჩეული და ისტორიაში შესატანი ბევრი არაფერი იყო, სამაგიეროდ გამარჯვების შემდეგ დიდი ჩემპიონის მიერ დალვრილი ცრემლები, ტრიბუნებზე მშობლების ძებნა და ხვევნა, ნა-

ჩქარევად ჩატარებული დაგეგმვების ცერემონიალი და ბინდ-ბურნდში აციმციმებული ათასობით ფოტოაპარატის ხილვა ერთ რამედ ღირდა.

არის კიდევ ზომით ცენტრალურზე არცთუ პატარა, მაგრამ როგორღაც მეტისმეტად მრგვალი და განთიებული პირველი კორტი, რომლის ძიმართაც გული თავიდანვე ამიცრუვდა. შეიძლება იმიტომ, რომ ჟურნალისტებისთვის გამოყოფილი ადგილებიდან მატჩის ცქერა ვერაფერი სიამოვნება იყო.

სამაგიეროდ, აშკარა სიმპათიებით განვეწყვე მე-18 და მე-14 კორტების მიმართ. ეს უკანასკნელი ზედ პრესის რესტორნის ქვეშ იყო განთავსებული, და სასარგებლოსა და სასიამოვნოს შეთავსების იშვიათ შესაძლებლობას იძლეოდა. პირველ მათგანს კი ორი მხრიდან სატელევიზიო ცენტრის უზარმაზარი ფანჯრები გადმოჰყურებდა და მართლაც 21-ე საუკუნის იერს აძლევდა.



REUTERS

უიმბლდონის მეოვიდად მოგება ვიტ სამვრასს პირველად მამამ მიულოცა

დაემორჩილე ნუკრეპილის გრძნობას

„ოლ ინგლენდ კლაბს" ერთგული და ჩოგბურთის ჩინებულად მცოდნე გულშემატკივრების არმია ჰყავს. შეიძლება ზოგიერთი იმიტომ აღამ-ათენებს უიმბლდონის სალაროებთან, რომ ძოგვიანებით ბილეთი სარფიანად გაყიდოს (რაც კანონით აკრძალულია და სერიოზულადაც იდევნება), ან თავის კერპს ახლოდან შეავლოს თვალი, მაგრამ უმეტესობას მართლაც კარგად ესმის და უყვარს თამაში.

აქ იციან, რომ ორმაგი შეცდომის შემდეგ ტაში მტერსაც არ უნდა დაუკრა, სტვენით და უკმაყოფილო შეძახილით არაფერი გამოსწორდება და რაც მთავარია, ხანმოკლე თავსხმა სამყაროს დასასრული არ არის. მაყურებლები მოთმინებით იცდიან ორი, სამი, და შეტი საათის მანძილზე, სანამ ქოლგას შეფარებულნი ნანატრ ხმას გაიგონებენ — თუ უახლოეს 10-15 წუთში წვიმა არ წამოვა, კორტებს ბრეზენტს გადავაძრობთ და თამაში მაშინვე განახლდება.

უიმბლდონზე გამორჩეულად თვალსაჩინოდ მოთამაშე ჩოგბურთელებს ავასებენ. სწორედ ამიტომ იყო, ფინალში დამარცხების მიუხედავად, ჩემპიონზე გაცილებით ხმამაღალი აპლოდისმენტები ბატრიკ რაფტერს რომ ერგო. სწორედ ამიტომ იქცნენ ინგლისელთა ფავორიტებად ბორის ბეკერი, ჯონ მაკინროი, შტეფი გრაფი, ანა ნოვოტნა.

შეუცდომელი არავინაა და აქაურ ქომაგებსაც ახასიათებთ თავიანთი სისუსტეები. მაგალითად, სტადიონის ფარგლებში მტრედის გამოჩენა რატომღაც ისტერიულია სიცილის საბაბი ხდება, ან, ვოქვათ, მსაჯის ოხოვნას მობილურების გამორთვის შესახებ ისეთი მქუხარე ტაში მოჰყვება, თითქოს ტომ ჰენმანმა ეს-ესაა მატჩ-პოინტი გადაარჩინა. და კიდევ, ტრიბუნებზე გამუდმებით ისეთი ხველაა, თავი ჭლექიანთა სანატორიუმში გგონიათ.

რა შეიძლება გააკეთო უიმბლდონზე ჩოგბურთის ცქერის გარდა? კლუბის ტერიტორიაზე ასამდე პატარა და დიდი კაფე-რესტორანი და ბარია. საფიქრი დესეოტად, რაღა თქმა უნდა, ნაღები და შარწყვი ითვლება, რომელიც ფუნტი და 80 პენი ღირს. სამართლე გითხრათ, ძარწყვი ძალიან ტეტანსმეტად უგემურია და ხელმეორედ გასინჯვის ყოველგვარ სურვილს გაგიქრობს.

„სარბველის" მკითხველებისთვის კაცი რას არ იზამ და მეც მზად ვიყავი, კიდევ ერთი აქაური განთქმული ნუგბარის — ფრანგული შამპანურისთვისაც გამესინჯა ვეფთ. იმ წამოწყებაზე ხახვგარლატრიანი ბოთლის ისტერიულმა ფასმა ამაღებინა ხელი. აქეც კარადის თავზე შემოდგებული ვიგანტური ბოთლის ღირებულება კი საერთოდ არ მითხოეს, არ ეფიდებათ.

უიმბლდონის მუზეუმში შეხვედრება დროის ფუჭი კარგვაა. არ ვიცი, ვინ შეიძლება დაიყენოს კარგ ხასიათზე ივან ლენდლის გამოცვლილი ტრუსების, ბიღი ჯინ კინგის ისტორიამდელი ჩოგნის, კრის ევერტის ოფლის საწმენდის ან ჯიმ კეიერის ნახმარი წინდების ნახვამ. რატომღაც ორც ჩოგნის სამების ევოლუციისა და ბურთ-ხელების განვითარების ხტუნვების დეკუფრითოვანებიკარ.

გაცილებით საინტერესოა კლუბის უკიდურეს ჩრდილოეთში ნაკრეფული „ბავშვების ხლისა" და „ძოწეულების სამქროს" კუთხეები. ამ უკანასკნელთან საერთო-საბურნალო რეკორდის დამყარების ამბიციით გამოვცხადდი, ვირვანქა გადავიხადე

REUTERS

უიმბლდონური სინი და ყვავილები ვინეს უილიამსისთვის

REUTERS

ტომ ჰენსი, ჰოლივუდელი უიმბლდონზე

და ხელი დარტყმის წინ მყარე ბრიფუსული მოიღლავდ ჩავატარე.

ფურმენ ჯიბდა სული არ მეცალა. ბორგელ დარტყმაზე რაღაცა 50 ბალი/საათში რომ დაფიქრა, მეკითხა-მეთქი, განვიცხადე. მაგრამ საბოლოოდ 68 ბალის, ანუ თუ, 100 კმ/სთ-ს ფიდი ვაფიქსირებთ ბალი-ბალებე. ამ სიჩქარით ანა კურნიკოვა ბალი-სა საკუთარ ბენიქელ მეორე მოწოლილებას ურტყამს.

„ეიბის რაღაცალურად საბრალისარი კუთხეში ეწ. „ავტოგრაფების კუნძულია" — ამბობს მეგარი ოთხკუთხეა ბრეზენტან ოთახი, სადაც წვნათ ჭიმაგებს ჩოგბურთელთა ხელწერების მოპოვება უნდა შეეძლოთ. რამდენჯერმე შეეკითხე გამოვთ მისა მუშაობის გრაფიკი, მაგრამ არავინ იცოდა, მართლა ცხადებოდა თუ არა იქ რომელიმე ღვეთინერი ბოთამაშე, ან უახლოეს მოძალაში მაინც ამბრენდა თუ არა ვინმე ავტოგრაფების დარიგებას.

დანაკლისის ინახლაურებას უამბლდონის სტუმრები მოთამაშეთა ტერასასა და აქედან ცენტრალური კორტისკენ გადებული ხიდის ცქერით ცდილობენ. შინ დაბრუნებისას საკამოობით ამ ადგილზე ხშირად ვხვდებოდი ხელით მაცქერალ მაყურებლთა ბოლო ჯგუფის „თავადაც არ ვიცი, სული ერია, ვინმეს დანახვა მინდა" — დაახლოებით ასე ფიქრდა ფანატების პასუხი.

ხელითდ ნაბიჯი გადავდგი და იქვე, ფანჯარასთან მშვიდად მოსაუბრე მსოფლიოს ყოფილ ნომერ ერთეულ ჩოგანს, ჯონ ნიუკომბს ეკავეთი. კიდევ ორიოდ ნაბიჯზე გვერდი ოდენან გარეთის ნახევარფინალისტმა დიმინა, ტრანტან ამაარა, მშვიდად გაარღვია მოძალოდნელთა ჯგუფი და სული განაგრძო. ითითი ვინმეზე ვერ ხელიფეთ, ვინ არის-მეთქი, მაგრამ „ეარსკვლავებზე მინდიერეებს" ალაფერი შეეშრეკათ.

ინალიშეები

ოქვენთან ფასამალი არაფერი მაქვს უიმბლდონზე ორეფერთნი ოლისეის ალეთე ნამაყო ფეერლეებსაც ვაეინდობ.

ჩემი პროფესიულობითა და კოსმეტიკურობით პირველი ეეგვენი კიდევ ალეთ ოლეშეთა. ბრესკოფეერენციას ბოლოს ჩოგბურთელები მშობლიურ ენაზე ესაუბრებიან-ხოლმე ჟურნალისტებს, ჰოდა, მეც რუსულად ვკითხე ხოვლს, ამერიდან დიდი ხლების ტურნირზე წვალებებში ალარ ითამაშეთ-მეთქი? ეუნაან კბილებში გამოსცრა, ალაო, ასწრაფელ წამოლგა და ოთახიდან გაიძურწა.

ასეთი ქცევა ტომას ალანსონთან წაგებით გაანწყენებას მივაწერე, ნანამ რუსმა კოლეგამ ამიხსნა, „ეფექტიანობა ხაფინ ალ არის, მეზობით მძაღრთეს ვერ იტანს ეა ამერიდან საოლეფეზე ალარ გაგიკარებსო.

„ეკეთესი შეფეგი არ მოჰყოლია პატრიკ რაფტერის ახლოდან გაცნობასაც. „რამდენს დალებთით საკუთარ ჩემპიონობაზე?" — მიემართე ავსტრალიელს ტურნირის



REUTERS

ბესტავო ალერტენი



ფინალში დამარცხების მიუხედავად პატრიკ რაფტერი მაყურებელთა რჩეული იყო

დასაწყისში, როდესაც მისი გამარჯვების შანსები მეტად დაბალი ფასობდა, „რა სულელური კითხვაა, ჩემს გვერდზე საკუთარ თავზე ფულის ჩასვლა“ — არ დაიხანა რაფტერმა. თავის გასამართლებლად იმას ეტყვი, რომ ახალგაზრდა თამაშების აკრძალვის შესახებ ვიცოდი, მე, უბრალოდ მაინტერესებდა, აშშ-ის ღია პირველობის ორეულის ჩემპიონს საკუთარი ძალების რამდენად სწვდა.

შედარებით ტკბილი გუსტავე კუერტენთან საუბარი გამოუდა „ორმაგი საათი დაახარჯვინეთ ახალ ეარცხნილობას“ — მიმართა დავინტერესდი „გუგას“ თავიდან ჩამოშლილი კულულებით — რა, ჩემს მიბაძვას ხომ არ აპირებ? — დამიბრუნა კითხვა ბრაზილიელმა და როდესაც ჩემს მოლოდინ შეგრილ თმაზე მივუთითე, ალფერი გამოძიკა-მეთქი. დიუმატა — მე ოთხი საათი დამჭირდა, შენ კი ახლა ოთხი წელი დაგჭირდება, ჯერ გაიზარდოს და მერე იფიქრე ასეთ ეარცხნილობაზე.

ეპილოგი

ეპილოგად ძნელია იმას დაეჭვა, რომ ეს ზაფ ვარ ახლავე დაეისაკი თავი და კიდევ ერთხელ გაეცინა ორი კვირით დიდ სლემის ტურნირის გასაშუქებლად სპონსორებს, რომლებსაც ხელფასი აქვთ ძმილონ აშშ-ის ღია პირველობაზე შეუძლიათ დარეკონ შემდეგ ტელეფონებზე.

ფინალი. *კაცები. პიტ სამპრასი (1, აშშ) — პატრიკ რაფტერი (12, ავსტრალია) 6:7 (10:12), 7:6 (7:5), 6:4, 6:2; ქალები. ვინუს იულიამსი (5, აშშ) — ლინდსი დეივენპორტი (2, აშშ) 6:3, 7:6 (7:3)*

უიმბლდონის ყველა ჩემპიონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი, ჩოგანი და სიყვარული

მაგნუს ნორმანი ვარჯიშზე, მეტოქეებზე და მარტინა ჰინგისზე

როგორც მორცხვი და ინტროვერტი ადამიანების უმეტესობას, მაგნუს ნორმანსაც არ უყვარს საკუთარ თავზე ლაპარაკი და თავის ქება.

„მე ერთი ჩვეულებრივი ბიჭი ვარ, რომელიც ქანცის გაცლამდე მუშაობს წარმატების მისაღწევად" — ამბობს-ხოლმე ქერა შვედი, მაგრამ არ დაიჯეროთ. ჩვეულებრივი ბიჭები არ ხდებიან მსოფლიოს პირველი ჩოგნები, სიცოცხლისთვის საშიში დაავადებისა და მრავალსაათიანი ოპერაციის გადატანის შემდეგ დიდი სლემის ტურნირის ფინალშიც არ გადიან და ამავდროულად ბოლო წლების საუკეთესო ქალი ჩოგბურთელის გულსაც არ იპყრობენ (მარტინა ჰინგისს ვგულისხმობთ).

ნორმანთან გასაუბრებას უიმბლდონზე მისი მეორე წრის შეხვედრის შემდეგ ვაპირებდი, ამიტომ, საშინლად მეწყინა, შვედმა ყველასთვის უცნობ ბელგიელ ოლივიე როშიუსთან მატჩში მსუბუქი ტრავმის მიღება და ხუთ სეტში წაგება რომ „მოახერხა".

მეგონა, სკანდინავიელი საშინელ გუნებაზე იქნებოდა და არავისთან ლაპარაკს მოისურვებდა, მის პრესკონფერენციაზეც თითქმის იმედგადაწურული მივედი. თუმცა შევცდი — ნორმანს მომხდარისგან ტრაგედიის შექმნა არ უცდია, არც ცხვირ-პირი ჩამოსტიროდა და აქა-იქ მშრალ ხუმრობასაც გამოურევდა-ხოლმე.

პრეს-კონფერეციის დასრულების შემდეგ გულმოცემული შვედს მივუახლოვდი და ინტერვიუ ვთხოვე. „ო ქეი" — გაიღიმა მაგნუსმა, თუმცა სწორედ ამ დროს ოთახში სახანძრო სირენის ხმა გაისმა. საიდანღაც ჩვენს ირგვლივ „ოლ ინგლენდ კლაბის" უსაფრთხოების თანამშრომლები გაჩნდნენ. ყველას შენობიდან გასვლა გვიბრძანეს, ჩოგბურთელი კი უკანა კარისკენ გააქანეს.

ვცადე, მეც ნორმანს გავყოლოდი, თუმცა ზრდილობიანად მიმითითეს საერთო გასასვლელისკენ. შვედმა ხელები გაშალა, ვერაფრით დაგეხმარებიო და ბოლო წამს მომიბრუნდა, ხვალ 2 საათზე მოთამაშეთა რესტორანში შეხვედრა მაქვს დანიშნული, იქ ვიქნებიო.

გარეთ გამოფენილ კოლეგებს როდესაც შევუერთდი, მეორე დღეს ნორმანის ხილვის დიდი იმედი არც მქონდა. შუადღით ჩოგბურთელთა ტერიტორიაზე შესასვლელი 4%-წუთიანი საშვი მაინც ავიღე და ლონდონისთვის იშვიათი თაკარა მზით განათებულ ტერასას თვალი მიმოვავლე. ისევ შევცდი, სკანდინავიელი სიტყვის კაცი აღმოჩნდა. იქვე, მოაჯირთან მზის ქოლგას შეფარებული ფრანგ ჟურნალისტს ესაუბრებოდა, თანაც აშკარად ეტყობოდა, ნანობდა, საკმაოდ სქელი, თეთრი ჯემპრი რომ ჩაეცვა.

თუ ზეზ ტურის მეტად მწირ მონაცემებს ვენდობით, 1986 წლის 3% მაისს დაბადებული სკანდინავიელი სიმაღლით 198 სმ-ია, წონით-88კგ, თუმცა საოცრად ჩაფსკვნილი ჩოგბურთელი ახლოდან კიდევ უფრო დიდი მოგეჩვენებათ. ინგლისურად ის გამართულად, თითქმის უაქცენტოდ ლაპარაკობს, ოღონდ ზოგიერთ კითხვაზე წამით აყოვნებს პასუხს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავთანდილ სვანიძე
ლონდონი-თბილისი

— ჩემი მშობლიური ქალაქი ფილიპშტადტი ისე პატარაა, მანქანით როდესაც მიდიხართ, კარგად უნდა დაუკვირდეთ, თორემ შეიძლება ვერც შეამჩნიოთ. იქ სულ 8 000 მცხოვრებია და მგონი, თითოეულს ვიცნობ. ჩემი არავის შურს და ყველა წარმატებას მისურვებს. მე, როგორც ყველაზე ცნობილი ფილიპშტადტელი ქალაქის ელჩად ვითვლები. სამწუხაროდ, ბოლო ხანს ხშირად ვეღარ ვახერხებ იქ ყოფნას.

— ჩოგბურთის თამაშიც ფილიპშტადტში დაიწყეთ?

— ჩვენს ქალაქში ყველაზე პოპულარული სპორტი ბურთიანი ჰოკეი იყო. მთელი ზამთარი მას ვთამაშობდით, ზაფხულში კი უსაქმურობისგან ვიტანჯებოდი. ჰოდა, 8 წლის ვიყავი, ბებიაჩემმა ჩოგანი რომ მიყიდა, ცოტა გაერთეო. კორტები სულ 300 მეტრის დაშორებით იყო ჩვენი სახლიდან. თავიდან მეგობრებს ვეთამაშებოდი, ხოლო როდესაც ისინი შინ მიდიოდნენ — კედელს. ჩემსავით ჩოგბურთი არავის უყვარდა, მზად ვიყავი მევარჯიშა, დედაჩემს ვახშმის კორტზე მოტანაც კი უხდებოდა.

— მშობლები არ ბრაზობდნენ?

— რა თქმა უნდა, ზოგჯერ ჩოგნებსაც კი მიმალავდნენ, ამდენი თამაში არ შეიძლებაო, მაგრამ მე მაინც ჩემი გავიტანე. რაკი ხეირიანი მეტოქეები არ მყავდა, მამაჩემს მოუხდა ჩოგბურთის სწავლა. ახლა მართლა კარგად თამაშობს (იცინის), ქალაქის ჩემპიონიცაა. თავადაც მიკვირს, როგორ გამიძლო. ძალიან ნერვიული ბავშვი ვიყავი და ხშირად იქეთ ვუყვიროდი, დაიცა, ერთი საათი კიდევ ვითამაშოთ-მეთქი.

— ესე იგი, პირადი მწვრთნელებითა და კერძო გაკვეთილებით განებივრებული არ იყავით?

— არა, კარგა ხანი მხოლოდ მამაჩემი მწვრთნიდა, წიგნებს ყიდულობდა და მათი მიხედვით. 12 წლისამ შვედეთის იუნიორთა ჩემპიონატი რომ მოვიგე, ბიორნ ბორგის მწვრთნელ პერსი როსბერგთან მიმიყვანეს. კვირაში ერთხელ მამაჩემს მანქანით 3 საათის სავალზე, სტოკჰოლმში დავყავდი. პერსი რამდენიმე რჩევას მომცემდა, მერე შინ ვბრუნდებოდით, მთელი კვირა ვვარჯიშობდით და ისევ სტოკჰოლმში მივდიოდით. ასე გრძელდებოდა თითქმის 4 წლის მანძილზე.

— თავად ბორგს თუ შე-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ხვდით ამ ხნის განმავლობაში?

— ბიორნი ხანდახან ვარჯიშობდა ჩვენთან, შვილიც იმავე კლუბში დაჰყავს. რჩევები არასოდეს მოუცია, მაგრამ ერთხელ მითხრა, ძალიან ნიჭიერი ხარ და არ იზარმაცო, ასევე გააგრძელეო. ამ სიტყვების გამო სიხარულისგან ცაში დავფირნავდი, აი, მამაჩემს კი არც ისე გახარებია — მეორე დღესვე მოვითხოვე, კიდევ უფრო მეტხანს გვევარჯიშა (იცინის).

— როდის გადაწყვიტეთ პროფესიონალი ჩოგბურთელი გამხდარიყავით?

— ეს საინტერესო ამბავია. ზუსტად არ მახსოვს, მგონი 16 წლის ვიყავი. ერთ დღეს ბურთიანი ჰოკეის ფედერაციისგან მომივიდა წერილი, სადაც ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში მოსკოვში მიწვევდნენ სათამაშოდ. იმავე დღეს კიდევ ერთი წერილი მივიღე, ჩოგბურთის ფედერაციიდან ფლორიდაში, „ორანჯ ბოულის" ტურნირზე მთავაზობდნენ წასვლას. მე ეს უკანასკნელი ვარჩიე.

— ნამდვილად სწორი არჩევანია...

— ჰო, მეც ასე ვფიქრობ. წარმატებებს არ დაუგვიანია. 1997 წელს როლან გაროსზე მაგნუსმა მსოფლიოს პირველი ჩოგანი პიტ სამპრასი დაამარცხა და მეოთხედფინალში გავიდა, სულ მალე კარიერის პირველი ტურნირიც მოიგო ბაშტადში, უიმბლდონის მეორე წრეში გორან ივანიშევიჩის სარეკორდო, 46 ეისს გაუძლო და ხორვატიც გაამწარა.

მარტინა თამაშის მერე ჯორტზე მაგნუსის საქომაგოდ რჩება

ნორმანზე ბევრი ალაპარაკდა, საუკეთესოთა ათეულში დამკვიდრებასა და ვარსკვლავად გახდომას უწინასწარმეტყველებდნენ. თუმცა საჩოგბურთო ოლიმპოს ნაცვლად შვედს სულ მალე საავადმყოფოს პალატებთან მოუხდა გაშინაურება.

იმავე, 1997-ის უიმბლდონზე ნორმანს მოულოდნელად გული ატკივდა და კორტი მხოლოდ სხვების დახმარებით დატოვა. ექიმებმა თავიდან, სერიოზული არაფერიაო, განუცხადეს, მაგრამ მალე ჯან-ღონით სავსე მოთამაშემ ვარჯიშისას გონება დაკარგა. გამოკვლევების შემდეგ მაგნუსს არითმია დაუდგინეს, სწორედ ის დაავადება, რომელმაც დედამისს, ლენას მოცურავის კარიერაზე და შვედეთის ნაკრების შემადგენლობაში ოლიმპიადაზე გამგზავრებაზე ათქმევინა უარი.

მარტინა ჰინგისი ყველგან სასურველი სტუმარია

შემოდგომაზე გიოტებორგში ჩოგბურთელს ხუთსაათიანი ოპერაცია გაუკეთეს. ნორმანს იმ დროის გახსენება მაინცდამაინც არ უყვარს.

— როდესაც საავადმყოფოში მიმიყვანეს, საშინლად განვიცდიდი და ვნერვიულობდი, მეშინოდა, დედაჩემივით ნაადრევად არ დამესრულებინა კარიერა. საბედნიეროდ, შესანიშნავი ქირურგი შემხვდა. გამომკითხა ჩოგბურთზე, მიღწევებზე, პირად ცხოვრებაზე და დამამშვიდა, ასეთი ოპერაციები უამრავჯერ გამიკეთებია, ტექნოლოგია ბოლო 20 წელიწადში მნიშვნელოვნად დაწინაურდა, ნუ გეშინია, პენსიონერობა არ გემუქრება, გაისად თამაშს შეძლებო.

— მალე დაუბრუნდით კორტს?

— ოპერაციის შემდეგ ერთი თვის მანძილზე წამლებს ვსვამდი, თამაში კი არა, უბრალოდ სიარული მასავათებდა. მერე თანდათან სირბილი და ვარჯიში დავიწყე, მაგრამ მთელი მომდევნო სეზონი ჩავაგდე, როგორღაც საკუთარი სხეულის იმედი აღარ მქონდა, თამაშის დროს ყურადღება მეფანტებოდა, გულზე, ოპერაციაზე ვფიქრობდი, მხოლოდ ბედნიერი იმი-

მაგნუს ნორმანს ბევრი ეტრფის

თაც ვიყავი, რომ კორტზე ყოფნა და თამაში შემეძლო.

მხსნელად ნორმანს იონას ბიორკმანის ყოფილი მწვრთნელი ფრედრიკ როზენგრენი მოევლინა, რომელმაც ჩოგბურთელს საკუთარი ძალების რწმენა დაუბრუნა. 1999-ში შვედმა ერთბაშად 5 ტურნირი მოიგო, იმდენივე, რამდენიც პიტ სამპრასმა და ანდრე აგასიმ, წლეულს კი სულ აიწყვიტა: რომში პრესტიჟული „მასტერსის“ სერიის პირველობაზე იმარჯვა, როლან გაროსის ფანტასტიკურ ფინალში მხოლოდ გუსტავო კუერტენთან დამარცხდა 10 მატჩ-პოიტნის გადარჩენის შემდეგ, ავსტრალიის ღია პირველობაზე ნახევარფინალში გავიდა.

— ფრედრიკმა ბევრი რამის მიმართ შემაცვლევინა დამოკიდებულება. ადრე მხოლოდ ჩოგბურთი მაინტერესებდა, ვარჯიშის დროს თუ კორტსგარეთაც მხოლოდ ჩოგბურთზე ვფიქრობდი. მან კი მითხრა, ცხოვრებისგან სიამოვნება უნდა მიიღო, ახალგაზრდა ხარ, დაასფასე რაც სპორტმა მოგცა, ფული თავზე საყრელად გაქვსო.

— თქვენი მწვრთნელი მაინც წუწუნებს, ძალიან ბევრს ვარჯიშობსო...

— რა ვქნა, ჩოგბურთი ისე მიყვარს, გაჩერება არ შემიძლია. ყოველდღიურად 4-5 საათს კორტზე ვატარებ, 2-3-ს ტრენაჟორებზე, მაგრამ მაინც მეტი მინდა. ფრედრიკი განსაკუთრებით მაშინ ბრაზობს, დილით თავზე რომ დავადგები და ვაღვიძებ, ადგომის დროა-მეთქი, ძილი საშინლად უყვარს. მერე კარგა ხანს ბუზღუნებს (იცინის).

— ჩოგბურთისგან თავისუფალ დროს რას აკეთებთ, რაიმე ძვირადღირებული გატაცება ხომ არ გაქვთ, ვთქვათ, მანქანების შეგროვება?

— არა, შარშან შტუტგარტის ტურნირზე მოგებული „მერსედესიც“ მშობლებს ვაჩუქე. მონტე-კარლოში, სადაც ახლა ვცხოვრობ, მხოლოდ პატარა მოპედი მყავს. იქ მანქანის გასაჩერებელი ადგილის გამონახვა ნამდვილი პრობლემაა, მე კი მაინცდამაინც კარგი მძღოლი არა ვარ. თავისუფალ დროს, როგორც ყველას, კინოში სიარული და წიგნების კითხვა მიყვარს. დიდი სიამოვნებით ვთამაშობ გოლფსაც, მაგრამ თითქმის ყველა მიგებს. სტოკჰოლმში, ან ფილიპშტადტში ყოფნის დროს მეგობრებთან ვერთობი, იქ უამრავი მეგობარი გოგო მყავს (მაგნუსი ცოტა იბნევა და პაუზის შემდეგ აგრძელებს)... გელფრენდებს კი არ ვგულისხობ, ისე. მონტე-კარლოში კი მე და ტომას ენკვისტი ვართ მუდმივად ერთად.

— უკანასკნელად როდის დათვერით?

— *(ნორმანი ამ კითხვაზე იმდენს ფიქრობს, თავმომწონე ქართველ სპორტსმენს შერცხვებოდა კიდეც)* შარშან, სეზონის დარსულების შემდეგ შვედეთში. ალკოჰოლური სასმელების დალევას მიჩვეული არ ვარ და მეორე დღეს მუცელიც მტკიოდა და თავიც მისკდებოდა. ჩვეულებრივ მხოლოდ მინერალურ წყალსა და კოკა-კოლას ვსვამ.

— მას შემდეგ, რაც დიდ წარმატებებს მიაღწიეთ და პოპულარული გახდით, თქვენს ცხოვრებაში რაიმე შეიცვალა?

— არაფერი, თუ იმას არ ჩავთვლით, რომ ქუჩაში უკვე ხშირად მცნობენ და ავტოგრაფებს, ან სურათის ერთად გადაღებას მთხოვენ. ამის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მიყვარს ყურადღების ცენტრში ყოფნა.

— გულშემატკივრებს რაიმე უსიამოვნება ხომ არ მოუყენებიათ?

— არანაირი, თუმცა ხანდახან გოგოებისგან ისეთ წერილებს ვიღებ, თვალებს არ ვუჯერებ. ათასნაირ სისულელეებსა და სიგიჟეებს მწერენ, გვიყვარხარ, სულ შენზე ვფიქრობთო...

— თავად რა ჩაგიდენიათ ყველაზე გიჟური ცხოვრებაში?

— ყველაზე გიჟური? ალბათ, ის, რომ შარშან სექტემბერში თმა წითლად შევიღებე. სარკეში რომ ჩავიხედე, თავად შემეშინდა. საბედნიეროდ, ნათესავ-მეგობრების გარდა არავის ვუნახივარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თქვენ განსაკუთრებული დღიური გაქვთ, რომელშიც ყველა მატჩზე, ყველა მეტოქეზე იწერთ შენიშვნებს. რა წერია, მასში, ვთქვათ, ანდრე აგასის შესახებ?

— აგასი მაშინ არის ყველაზე სახიფათო, როდესაც უკანა ხაზიდან ერთი მეტრის შიგნით დგას და მთელი ძალით ურტყამს აქეთ-იქით. მას კორტზე ბატონ-პატრონობა არ უნდა დაანებო, თორემ სიქას გაგაცლის. როდესაც მას ვეთამაშები, ვცდილობ, პირიქით, მე ვიგდო უპირატესობა ხელში, ბურთები ღრმად გადავაგდო ბადის მეორე მხარეს და თავად ვარბენინო.

— პიტ სამპრასი?

— სამპრასის მთავარი იარაღი მისი მოწოდებაა, პირველიც და მეორეც. როგორც წესი, დაძაბულ მომენტებში, ბრეიკ-პოინტებზე ის პირდაპირ, ხაზის გაყოლებით აწოდებს და მეც ვცდილობ მიღების დროს ცოტა იქეთ გავიწიო.

— ამდენი კი ნამდვილად არ უნდა გეთქვათ.

— ჰო, ვიცი, მართლა ზედმეტი წამომცდა. იმედია, პიტთან არ „ჩამიშვებთ" (იცინის),

— ვინ არის საუკეთესო ჩოგბურთელი, ვის წინააღმდეგაც გითამაშიათ?

— პატრიკ რაფტერი. რამდენჯერაც ვეთამაშე, ვერაფერი მოვუხერხე, დედა მიტირა.

— რა არის საუკეთესო და ყველაზე უარესი ჩოგბურთელის ცხოვრებაში?

— საუკეთესო თავად ჩოგბურთის თამაშია, ამას არაფერი შეედრება. მიყვარს მოგზაურობაც, სხვადასხვა ტურნირზე ასპარეზობის გამო უამრავ ქვეყანაში, ქალაქში მომიხდა ყოფნა, ბევრი ისეთი რამ ვიხილე, რაზეც წარმოდგენაც არ მქონდა. ყველაზე უსიამოვნო კი ის არის, რომ შინ, ოჯახთან, მეგობრებთან ყოფნისთვის დრო თითქმის არ გრჩება.

დაბოლოს, მაგნუსთან მის მეტად ცნობილ გელფრენდზე ჩამოვავდე სიტყვა. მარტინა ჰინგისის ხსენებაზე შეედს თხელი, ლამის გამჭირვალე სახის კანი შესამჩნევად წამოუწითლდა, თუმცა ამ თემისთვის ტაბუ არ დაუდია.

— მაგნუს, მაისში იტალიის ღია პირველობაზე ყველას განუცხადეთ, მეგობარი გოგონა არ მყავსო. ორი თუ სამი კვირის შემდეგ კი პარიზში უკვე თქვენი და მარტინას რომანი ეკერა ყველას პირზე, ერთმანეთის მატჩებს არ ტოვებდით. როგორ დაიწყო ეს ყველაფერი?

— სიმართლე გითხრათ, ერთმანეთთან შეხვედრა ჯერ კიდევ მარტში, ინდიან უელსის ტურნირზე დავიწყეთ. მერე როლან გაროსის წინ, პარიზში რამდენიმე თავისუფალი დღე გვქონდა და, ჩემი დიდი მონდომებით კიდევ უფრო დავახლოვდით, სულ ერთად ვატარებდით ხანს.





როლან გაროსზე მაგნუს ნორმანი მეორეობას დასჯერდა

— თქვენთან, შვედეთში, ან მარტინასთან შვეიცარიაში მიპატიჟებამდე ჯერჯერობით არ მისულა საქმე?

— არა, აქამდე მხოლოდ დიდი სლემის, ან სხვა ტურნირების დროს ვახერხებდით შეხვედრას, თუმცა დიდი სურვილი მაქვს, კიდევ უფრო მეტხანს ვიყოთ ერთად, ჩოგბურთისგან თავისუფალ დღეებში ვიხრუნებ კიდეც ამაზე.

— ლეიტონ ჰიუიტი და კიმ კლაისტერსი უიმბლდონზე შერეულ წყვილებში თამაშობენ, თქვენ ხომ არ გეგმავთ სადმე ერთად ასპარეზობას?

— არა, თუ დიდი სლემის ტურნირის მოგება გინდა, თავს უნდა გაუფრთხილდე და არ უნდა გადაიწვა. აქ ისეც ხუთსეტიანი მატჩების თამაში გვიხდება. თანაც მე და მარტინას ჩოგბურთის თამაშზე გაცილებით საინტერესო საქმეები გვაქვს ერთად.

— ბევრი ამბობს, რომ რომანის გაბმა ჩოგბურთელებს შორის ორივე მხარეს ვნებს. თქვენი აზრით, ეს მართალია?

— არა, არა, რა სისულელეა. ორივენი პროფესიონალები ვართ და ვიცით, რაც უნდა გავაკეთოთ. თუ ეს რაიმე გავლენას ახდენს თამაშზე, მხოლოდ სასიკეთოს, ჩვენ ერთამანეთს ვამხნევებთ და მხარს ვუჭერთ, სხვებზე კი ვერაფერს გეტყვით.

— როგორ დაახასიათებდით საკუთარ თავს?

— შეიძლება ითქვას, რომ უცხო ადამიანებში ცოტათი მორცხვი ვარ, მეგობრები კი იტყოდნენ, რომ ერთგული ვარ და მხიარული. წარსულში საკმაოდ იოლად ვბრაზდებოდი, ახლა კი ჩემი წყობიდან გამოყვანა გაცილებით ძნელია.

— და როგორ დაახასიათებდით მარტინას?

— მარტინა ძალიან საინტერესო პიროვნებაა. ასეთ ადამიანს არასოდეს შეგხვედრივარ, სულ ბედნიერია, სულ იღიმის, ნაწყენს ვერასოდეს ნახავ. მასთან ყოფნა დიდი სიამოვნებაა, ნებისმიერს გამოუკეთებს გუნებას.

მაგნუსს მადლობა ვუთხარი, წარმატებები ვუსურვე პირად და სპორტულ ცხოვრებაში და თითქმის სირბილით გავემართე საშვის ჩასაბარებლად. სამს უკვე 10 წუთი უკლდა, პრეს-ცენტრში ცოტა ალმაცერად გადმომხედეს, თუმცა დაგვიანებისთვის არაფერი უთქვამთ.

BOTHA

არგენტინა

მარცხნიდან ღგანან: კლაუდიო ლოპესი, რობერტო სენსინი, ხავიერ ძანეტი, რობერტო აიალა, რობერტო ბონანო, ვალტერ სამუელი
სხედან: კილი გონსალესი, დიეგო სიმეონე, არიელ ორტეგა, ერნან კრესპო, ხუან სებასტიან ვერონი